# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 109 (129) | შაბათი, 1 ივნისი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება

**საქართველოს** რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შეშფოთებას გამოთქვამს იმ სიტუაციის გამო, რომელიც უკანასკნელ ხანს შეიქმნა სომხეთისა და აზერბაიჯანის სასაზღვრო რაიონებში, ასევე მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მთელი ქართველი ერის სახელით სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ახლობლებსა და ნათესავებს. იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი. ირღვევა ადამიანის უფლებები. სამწუხაროა, რომ ბოლო დროს შეინიშნება ტენდენცია ანალოგიური კონფლიქტური სიტუაციის პროვოცირება მოახდინონ ამიერკავკასიის სხვა რაიონებშიც. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ კონფლიქტი ორ მეზობელ ერს შორის მთლიანად კრემლის ინსპირირებულია, რომელიც „გათიშე და იბატონე" ცნობილი პრინციპით მოქმედებს. საბჭოთა კავშირის მესვეურნი გაწაფულად აღვივებენ ამიერკავკასიაში ერთაშორის კონფლიქტებს, რათა შემდგომ, საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების ნაწილების მეშვეობით, თითქოს და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით დამსჯელი ოპერაციები განახორციელონ ცალკეული რესპუბლიკებისა და ერების მიმართ. ასეთი დამსჯელი ოპერაციები კრემლმა უკვე განახორციელა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წინააღმდეგ და იმის რეალური საშიშროება არსებობს, რომ კვლავაც არ მოერიდება თავისუფლებისმოყვარე ხალხების სისხლის დაღვრას.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ისეთი სადავო საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. დაპირისპირებულმა მხარეებმა დროულად უნდა გაითვითცნობიერონ, რომ ამიერკავკასიაში სტაბილური სიტუაციის შექმნა დიდად შეუწყობს ხელს რესპუბლიკების რეალური სუვერენიტეტის მიღწევას, რაც თავის მხრივ, საწინდარი იქნება დემოკრატიის განვითარებისა და ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვისა მთელ რეგიონში. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოუწოდებს დაპირისპირებულ მხარეებს შეწყვიტონ ყოველგვარი ძალისმიერი მოქმედებანი და დაიწყონ მოლაპარაკება ამიერკავკასიაში კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მზად არის თავის მხრივ, იყოს შუამავალი მეზობელ რესპუბლიკებს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების გამართვის საქმეში და სთავაზობს ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა უმაღლესი დონის შეხვედრის თბილისში მოწყობას უახლოეს ხანს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 30 მაისი.

## 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

იხარეთ, იხარეთ ბავშვებო!

თედო ნიკოლაიშვილის ფოტორეპორტაჟი.

## მილოცვები

### მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას

**თქვენო** აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო,

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ საყოველთაო არჩევნებში გამარჯვებას და საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად არჩევას.

გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენი პრეზიდენტობა შევა ისტორიაში, როგორც ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, მშვიდობის, კეთილდღეობის, ერის ერთიანობისა და საქართველოს მთლიანობის პერიოდი.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალჟამიერ ნაყოფიერ მოღვაწეობას და წარმატებებს საქართველოს წინსვლისა და სულიერი ამაღლებისათვის.

ღრმა პატივისცემით
**ილია II**
სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი.

### მის აღმატებულებას, ბატონ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

**ბატონო** პრეზიდენტო!

ნება მიბოძეთ, ჩემი სახელით, საფრანგეთში ქართული ასოციაციის მმართველი კომიტეტის სახელით და ჩვენი ასოციაციის წევრთა სახელით გულწრფელად მოგილოცოთ არჩევნებში თქვენი ბრწყინვალე გამარჯვება.

თქვენ შესძელით თქვენს გარშემო შემოგეკრიბათ საქართველოს თითქმის მთელი მოსახლეობა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ხვალ საქართველოს მთელ მოსახლეობასთან ერთად შეძლებთ ააშენოთ თავისუფალი, დემოკრატიული, აყვავებული და დამოუკიდებელი ქვეყანა.

ნება მიბოძეთ, გისურვოთ წარმატებები მომავალში და დაგიდასტუროთ ჩემი დიდი პატივისცემა

**სერჟ მელიავა,**
საფრანგეთში ქართული ასოციაციის პრეზიდენტი.

### ბატონ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

**ბატონო** პრეზიდენტო,
ძვირფასო კოლეგავ!

დიდი სიამოვნებით შევიტყვე არჩევნების შედეგები საქართველოში. გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მილოცვა თქვენი ბრწყინვალე საარჩევნო შედეგის გამო, რაც შესანიშნავად ადასტურებს ქართველი ხალხის მხარდაჭერას იმ პოლიტიკისა, რომელსაც თქვენ ახორციელებთ.

მოხარული ვიქნები თქვენთან შეხვედრისა მონტანას მნიშვნელოვან ფორუმზე, განსაკუთრებით კი კონფერენციაზე, რომელიც ეხება შავი ზღვის საკითხებს.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო კოლეგავ, ჩემი გულითადი სალამი.

**ფრანსუა ლაშა,**
ჟურის კანტონის და შვეიცარიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

### ბატონ პრეზიდენტს გამსახურდიას

**ბატონო** პრეზიდენტო!

გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას, გისურვებთ წარმატებას.

პატივისცემით
**ჯამილ (ქუქულაძე)**
ქარაქადილარ, თურქეთის ცელულოზისა და ქაღალდის ფაბრიკების მთავარი სამმართველოს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

### მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

**ბატონო** პრეზიდენტო!

ნება მიბოძეთ, გულწრფელად მოგილოცოთ არჩევნებში დიდი გამარჯვება, რომლითაც ხალხმა დაადასტურა თქვენი უფლება დაიკავოთ მარადჟამს ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყველაზე მაღალი თანამდებობა.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მისალმება.

**ბატონიშვილი გიორგი ბაგრატიონი.**

### საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

**დიდად** პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ქართველმა ხალხმა ხმების დიდი უმრავლესობით აგირჩიათ თავის პრეზიდენტად. ამით თქვენ იტვირთეთ მძიმე მოვალეობა — კვლავ გაუძღვეთ საქართველოს თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ერთგული საზოგადოებისაკენ.

გისურვებთ სრულ წარმატებას ამაში.

თქვენი
**ოსკარ ლაფონტენი.**
ზაარლანდი.

### ქართველ ხალხს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას

**ქართველი** ხალხი, პირველად დემოკრატიული გზით არჩეული მისი პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია კვლავ იღებენ მოსალოც დეპეშებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

ქართველი ხალხის სასიხარულოდ, ერთ-ერთი პირველები გამოეხმაურნენ უკრაინის სახალხო მოძრაობა „რუხი", საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, მეზობელი რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ოფიციალური და კერძო პირნი.

თავის დეპეშაში უკრაინის სახალხო მოძრაობის „რუხის" თავმჯდომარე ივანე დრაჩი ულოცავს პრეზიდენტს საპატიო თანამდებობაზე არჩევას და გამოთქვამს რწმენას, რომ მიზანშეწონილია გაღრმავდეს უკრაინისა და საქართველოს ხალხების ყოველმხრივი კავშირურთიერთობა. „ჩვენი მხრივ, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ მისი განვითარებისათვის", — ნათქვამია შემდეგ დეპეშაში.

გერმანიაში საქართველოს სათვისტომოს სახელით მისი თავმჯდომარე ქრისტეფორე კირკიტაძე, თოხაძეთა ოჯახი ვენესუელიდან, ნიუ-იორკის ვაჭრობისა და ინვესტიციათა ცენტრის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები დომინიკ სკალონე, გიორგი და რიტა უფარაძეები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პირველი მდივანი ჯემალ მიქელაძე ულოცავენ პრეზიდენტს მის დამაჯერებელ გამარჯვებას არჩევნებში და უსურვებენ ყოველმხრივ წარმატებებს შემდგომში.

საქინფორმი

## უცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ

**ჩვენი** საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ გაზეთ „ლე მონდში" ა. წ. 25 აპრილს დაიბეჭდა ქართველი ემიგრანტის თამაზ ნასყიდაშვილის წერილი ერთობ „პოეტური" სათაურით „სევდიანი საქართველო". ბ-ნი ნასყიდაშვილი გახლავთ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოს ყოფილი პრეზიდენტი. ამავე დროს, იგი მეუღლეა ტერეზა ბიტაროვა-ნასყიდაშვილისა, ქალბატონისა, რომელმაც პარიზში საზოგადოება „ოსეთი" დააარსა და საკმაოდ მძაფრი კამპანიაც გააჩაღა საქართველოს წინააღმდეგ ფრანგული პრესის ფურცლებზე.

თამაზ ნასყიდაშვილის პასკვილი შესაშური ოპერატიულობით გადაბეჭდა გაზეთმა „პრავდამ", რითაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ომი საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა და უცხოურ პრესაში ერთი და იგივე სცენარით მიმდინარეობს, რამეთუ ერთი დრამატურგი ჰყავს. ამ სცენარის ჩანაფიქრი საკმაოდ მარტივია — საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და, რაც მთავარია, თვით ბატონ ზვიად გამსახურდიას დისკრედიტირება მსოფლიოს თვალში.

ვინაიდან ბატონ ზვიად გამსახურდიას ჩვენშიც და უცხოეთშიც იცნობდნენ, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის დაუღალავ და უკომპრომისო მებრძოლს, სწორედ ამიტომ, ცენტრმა მთელი თავისი ძალისხმევა იქით მიმართა, რათა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერთან ბრძოლა სწორედ ამ რაკურსით წარმართულიყო: ძველი ეპითეტები — სეპარატისტი, ექსტრემისტი — ნეოფაშისტითა და ულტრანაციონალისტით შეიცვალა.

მოვიგონოთ, კიდევ ვის ერგო კრემლის მიერ „პატივი" ჰიტლერისა და მუსოლინის თანამოაზრედ გამოცხადებისა?

გასულ წელს ფაშისტად მონათლა ვიტაუტას ლანდსბერგისი. მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მონახა ლიტვაში მწერალი, რომელმაც ლიტვის ეროვნული მოძრაობის ლიდერს ფაშისტი უწოდა. სულ ცოტა ხნის წინ, რუსეთის უზენაესი საბჭოს სესიაზე, დეპუტატმა გორიაჩევამ ფაშისტი უწოდა ბორის ელცინს, რომელიც, ქალბატონის თქმით, თურმე ბავშვებსაც არ ინდობს.

თავის დროზე საბჭოთა პრესა განსაკუთრებული გაფთრებით აბრალებდა პროფაშისტურ განწყობას ლეხ ვალენსას. ჩანაფიქრი მარტივია, საკმაოდ პრიმიტიულიც. ისიც ცხადია, რომ პოლიტიკური ბრძოლა ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის თავის ბოლო და ალბათ, ყველაზე რთულ ფაზაშია შესული. იმპერია ინგრევა. ნგრევის პროცესი მძიმეა და მტკივნეული. ამდენად სავსებით გასაგებია პოლიტიკური ბატალიების სიმძაფრეც, გაუგებარი მხოლოდ ის არის, ჩვენი ციხე მუდამ შიგნიდან რატომ უნდა ტყდებოდეს?!

**მედეა თუშმალიშვილი,**
უზენაესი საბჭოს საგარეო კომისიის წევრი, დეპუტატი.

**გთავაზობთ** იმავე გაზეთ „ლე მონდში" 27 მაისს თამაზ ნასყიდაშვილის პასკვილის საპასუხოდ გამოქვეყნებულ სტატიას, რომლის ავტორია საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ბატონი ოთარ ზურაბიშვილი.

## უბადრუკი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

**დიდი** ხნის განმავლობაში საბჭოთა უღლის ქვეშ მშვინავი საქართველო საერთაშორისო ასპარეზიდან განზე იდგა. მოსკოვისა და იქ მყოფი ჟურნალისტებისაგან მოშორებულმა ამ პატარა ქვეყანამ განიცადა საშინელი რეპრესიები, რომელიც უცნობია საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის.

სისხლში ჩახშობილი აჯანყებები, ტერორი, დაპატიმრებები ამ ხალხის ხვედრია. იგი განუწყვეტლივ იბრძოდა გასაბჭოების წინააღმდეგ. მაგრამ დასავლეთში [illegible] მისი სახე იყო სახე დაუმორჩილებელი, მაგრამ სიმპატიური და გულღია ქვეყნისა, სადაც ცხოვრების დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე დანარჩენ საბჭოთა კავშირში.

„სამიზდატები" ვრცელდებოდა, დისიდენტები (მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია) ცდილობდნენ ხმა მიეწვდინათ კაცობრიობისათვის, მაგრამ მაინც დასავლელ ჟურნალისტებთან უფრო ახლოს მყოფი რუსი დისიდენტების ჩრდილში იდგნენ.

ტერორი და ირგვლივ გამეფებული სიჩუმე ქართველი ხალხის იმედებს ანადგურებდა.

### ვითარება შეიცვალა

**ვითარება** ნამდვილად შეიცვალა. „გლასნოსტმა", „პერესტროიკამ" და სისტემის თანდათან რღვევამ შესაძლებელი გახადა ინფორმაციის გავრცელება, კვლავ გაჩნდა იმედი, ხალხს სულიერი მოთხოვნების გამოხატვის საშუალება მიეცა.

პირველმა დემოკრატიულმა არჩევნებმა საქართველოს ხელისუფლებაში დამოუკიდებლობის მომხრე პარტიათა კოალიცია მოიყვანა. 31 მარტის რეფერენდუმმა, რომელშიც ხმის მიმცემთა 90%-მა მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის აღდგენას, კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველი ხალხის ნება. ამ პლებისციტის შედეგებზე დაყრდნობით რესპუბლიკის მთავრობამ გასულ 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

როგორც ვალენსა პოლონეთში, ჰაველი ჩეხოსლოვაკიაში, ზვიად გამსახურდიაც, ძველი დისიდენტი, რომელიც რამოდენიმე წლის წინ ჯერ კიდევ საბჭოთა ციხეებსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იყო გამოკეტილი, დღეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტია.

მაგრამ საქართველოს ჯერ კიდევ არ მიუღწევია გზის დასასრულისათვის და მტრები, რომლებიც მას ებრძვიან, დღეს უფრო თვალთმაქცნი და საშიშნი არიან. ისინი არნახული ძალით ეწევიან დეზინფორმაციას და სხვადასხვა მაქინაციებს:

„ფაშიზმი, დამონებული პრესა, მაფიოზური მოქმედებები, ბანდიტიზმი, ხელისუფლებისა და მის მხარდამჭერთა სამსახურში ჩამდგარი ბნელი ძალები, სისხლისმღვრელი ომი ოსეთში, სისხლის სამართლის დამნაშავე „კომანდოსები", მუსოლინის მსგავსი გამონათქვამები, ადამიანთა უფლებების მასხრად აგდება, რასისტული აგრესია ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, მკვლელობები, ძარცვა..."

აი, მაგალითად, ახლანდელი საქართველოს როგორ სურათს ხატავს ვინმე თ. ნასყიდაშვილი („ლემონდი"-25 აპრილი).

ამ პიროვნების შესახებ რამდენიმე ცნობა ყველაფერს კუთვნილ ადგილს მიუჩენს: 60-იან წლებში, როდესაც სსრკ-ს ვიზის მიღება შეუძლებელი იყო, თ. ნასყიდაშვილი იმყოფებოდა საქართველოში „სუკი-ს მფარველობის ქვეშ მყოფი", „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის მიწვევითა და ხარჯებით. მაშინ მას არ დაუშურებია სახოტბო სიტყვები საქართველოში საბჭოთა სისტემის სიკეთის შესახებ. დღეს ხელისუფლება შეიცვალა, ნასყიდაშვილის აზრიც ძველი... ეს მხოლოდ ანეკდოტური ფაქტი იქნებოდა, საქმე რომ საქართველოსა და მისი ხელმძღვანელების დისკრედიტაციის მიზნით მოწყობილ შეთქმულებას არ ეხებოდეს.

არ შეიძლია რა აშკარად დაუპირისპირდეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, რომელიც ღრმად შეიჭრა ქართველთა გულებში, საბჭოთა ხელისუფლება და მისი მომხრეები ცდილობენ სახელი გაუტეხონ და ჩირქი მოსცხონ საქართველოს მთავრობას და დააუძლურონ იგი.

არა! არ არსებობს არც გენოციდი და არც სისხლისმღვრელი ომი ოსეთში, ადგილი აქვს მხოლოდ ცალკეულ შეტაკებებს, რასაც მოჰყვება მსხვერპლი ორივე მხრიდან. ეს არის მოსკოვის მიერ შეიარაღებული ექსტრემისტების ხახელავი, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადასვლას მოითხოვენ. ეს იგივე ხელისუფლებაა, რომელმაც უარყო ოსების თვითმყოფადობა მათ ტრადიციულ ტერიტორიაზე ჩრდილო ოსეთში და მოახდინა მათი მასობრივი რუსიფიკაცია. მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ოსების კულტურა და ტრადიციები დაცული იყო.

ზვიად გამსახურდია ყოველ ღონეს ხმარობს სიმშვიდის დასამყარებლად. იგი მოუწოდებს განიარაღებისაკენ. იგი შეეცადა შეექმნა ოსებისა და ქართველების ერთობლივი კომისია კონფლიქტის გადაჭრის საშუალებების პოვნის მიზნით.

ვინ არის დაინტერესებული დღეს საქართველოში დესტაბილიზაციით? მართლა ზვიად გამსახურდია, რომლის ყველა შეცდომას უთვალთვალებენ, რათა შემდგომ სინანული გამოთქვან საბჭოთა ჰეგემონიის მშვენიერი წლების გამო, და თანაც იმედი აქვთ, რომ თავს წესრიგისა და დემოკრატიის გარანტად გაასაღებენ?

### შემწყნარებლობის ტრადიცია

**არა!** არ არსებობს რასისტული აგრესია საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. პირიქით, არსებობს შემწყნარებლობისა და სტუმართმოყვარეობის ხანგრძლივი ტრადიცია, რომელსაც ადასტურებს რეფერენდუმის შედეგებიც, რომლის თანახმად, საქართველოში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა ხმა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობას. არ არსებობს ფაშისტური გადახრა, არც მომავალი მუსოლინი ან ჰიტლერი. არსებობს დემოკრატია, ახლად დაბადებული, რომელსაც უკვე ორჯერ გაუწიეს ანგარიში (არჩევნები და რეფერენდუმი) და რომელიც კანონიერად დამკვიდრდა ამ ხუთი თვის განმავლობაში. პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი აცხადებს, რომ პირდაპირი, საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება 26 მაისს. ის, ვინც დიქტატურაზე და პირში ბურთჩაჩრილ ოპოზიციაზე გაჰყვირის, ირონიით მოიხსენიებს პარტიათა მრავალრიცხოვნებას: „იმდენი პარტიაა, რამდენი ქართველიც არის". არა! არ არსებობენ „სისხლის სამართლის დამნაშავე კომანდოსები", არც შენიღბული მილიცია, სამაგიეროდ მთავრობამ დააპატიმრა ჯაბა იოსელიანი, ბანდიტი, რომელიც შეიარაღებულ ბანდას ხელმძღვანელობდა და ხალხს შანტაჟს უწევდა. უცნაურია ზოგიერთი „ინტელექტუალის" დამოკიდებულება, რომლებიც საუბედუროდ ამას უკანონო და ფაშისტურ აქტად მიიჩნევენ. განა შეიძლება იყო შეიარაღებული ბანდების კატეგორიული მოწინააღმდეგე და ამავე დროს გაჰყვიროდე დიქტატურაზე, როდესაც მათ განაიარაღებენ?

ადვილი შესამჩნევია, რომ ბრალდებები ვერ უძლებენ ფაქტებით გამოცდას.

რჩება ცილისწამება, რომლის მიზანია იდეების დისკრედიტაცია, მისი მომხრეების ჩირქის მოცხების მეშვეობით, მაგრამ იდეები ძლიერია და მისი დამცველი ადამიანები დაძლევენ ყოველგვარ წინააღმდეგობას.

## შიდა ქართლი

### ვითარება სამაჩაბლოში

**30 მაისს** დილის 5 საათზე ოსი ბანდიტები თავს დაესხნენ სოფელ თამარაშენის გოგიძიანთ უბანს, ტყვიით დაცხრილეს ვახტანგ გოგიძის, ქიტო და გურამ ხეთერელების საცხოვრებელი სახლები. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

სოფლის მოსახლეობამ კოლექტიური წერილით მიმართა ქალაქ ცხინვალის კომენდანტს, მილიციის პოლკოვნიკ შაქრო წინწკალაძეს და მოითხოვა: ოსი ბანდიტების თავდასხმებისაგან სოფლის დასაცავად ღამის საათებში დაწესდეს პატრულირება, განხორციელდეს ღონისძიებები იმისათვის, რომ თამარაშენის მოსახლეობას დღის განმავლობაში ორჯერ მაინც შეეძლოთ ცხინვალის გავლით სოფლიდან წასვლა და უკან დაბრუნება, რადგან ოსი მოსახლეობა სრულიად შეუზღუდავად და უსაფრთხოდ მიმოდის თამარაშენზე გავლით.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

### ჯერჯერობით სიმშვიდეა

რეპორტაჟი

**ამ** ბოლო ხანს სამაჩაბლოდან მიღებულ ცნობებში სულ უფრო ხშირად ვხვდებით სიტყვებს „ვითარება მშვიდია". და მართლაც, ადამიანები წინანდებური შიშით აღარ ხვდებიან საღამოს დადგომას. თუმცა ახლაც ღამღამობით ხან იქ, ხან აქ გაისმის სროლის ხმა. დიახ, ამ რეგიონში შედარებით სიმშვიდე დადგა, თუ არაფერს ვიტყვით სახლებისათვის ცეცხლის წაკიდებაზე.

ნეიტრალური ტერიტორიის საკონტროლო-გასაშვებ პუნქტში დღეს ხალხმრავლობაა. აქეთ-იქით დაქრიან მანქანები. მამაკაცები, ქალები, მოხუცები და ბავშვებიც კი ერთი მხრიდან მეორეზე გადადიან. მრავალი მათგანი ერთმანეთს იცნობს. ესალმებიან, ეხვევიან ერთმანეთს, ზოგი ტირის. ბედის ნებით მათ შორის გაუცხოების ზოლი გაჩნდა. გუშაგებს ბევრი საზრუნავი აქვთ: ამოწმებენ დოკუმენტებს, გულმოდგინედ ათვალიერებენ მანქანებს.

— საერთოდ ახლა უფრო შემსუბუქდა მდგომარეობა, მაგრამ სრულ სიმშვიდემდე ჯერ კიდევ შორსა ვართ, — ამბობს ერთ-ერთი სამხედრო და როგორც ამის დასტური, ქალაქის მხრიდან საკონტროლო-გასაშვები პუნქტის ტერიტორიაზე შემოდის რამდენიმე ჭაბუკი. ისინი დიდხანს გვაცქერდებიან მე და ჩემს კოლეგას ფოტორეპორტიორ ანატოლი რუხაძეს. იგრძნობოდა, რომ ახალმოსულები ნასვამები იყვნენ და მათ რაღაც აღიზიანებდა ჩვენს მოქმედებაში. მაგრამ ჯარისკაცი, რომელსაც ისინი გადაეკიდნენ, მოთმინებით მოითხოვდა, პოსტის ტერიტორია დაეტოვებინათ და მხოლოდ იარაღით დამუქრებამ მოიყვანა ისინი გონს. — თუმცა საკონტროლო-გასაშვებ პუნქტთან მისასვლელ გზაზე გამოკრულ ფარზე წარწერილია: „სდექ! გესვრი გაუფრთხილებლად", ჩვენ მაინც ვცდილობთ ასეთ შემთხვევებში სიტყვებით შემოვიფარგლოთ და იარაღი არ ვიხმაროთ.

იქითა მხარეს კი ქართულ სოფლებში კვლავინდებურად მძიმე მდგომარეობაა. ადამიანები დაიღალნენ — ნახევრად შიმშილობენ. აქ შემოზიდეს სასურსათო პროდუქტები, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე მათმა რაოდენობამ სულაც ვერ შეავსო პირველი საჭიროების საქონლის — ფქვილის, შაქრის, მარილის, ცხიმის თითქმის ბოლომდე გამოლეული მარაგი. ამ სოფლების მცხოვრებთათვის ნამდვილი სიხარული იყო მანქანა, რომელმაც გაზის ბალონები ჩამოიტანა. ადამიანები შეგროვილან მანქანასთან, და ვის საზიდრით, ვის როგორ მიჰქონდათ შინ დიდი ხნის ნანატრი საწვავი.

— ამბობენ, შემდეგ ჯერზე ორ-ორ ცალს დაარიგებენო ოჯახზე, — ერთმანეთს ეუბნებიან ქალები. რა ცოტა რამ სჭირდება ადამიანს სიხარულისათვის. სოფელი ხეითი, რომელსაც მეწყერმა დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა, თითქმის დაცარიელდა, მაგრამ რამდენიმე გადარჩენილ სახლში და შორიახლოს დადგმულ კარვებში განაგრძობენ ცხოვრებას ადამიანები. ისინი იმედოვნებენ, რომ მათაც არ დატოვებენ უბედურებაში.

— ადამიანთა გადაადგილება ქალაქსა და ქართულ სოფლებში ოდნავ უფრო ინტენსიური გახდა, — ამბობს ქალაქ ცხინვალის კომენდანტი შაქრო წინწკალაძე. ისინი ხშირად უსამხედროებოდ დადიან. ეს იმედს გვინერგავს, რადგან თავისუფალი გადაადგილება, ვფიქრობ, ვითარების ნორმალიზაციის საწინდარია.

ღმერთმა ქნას!

**რიტა დოლიძე,**
საქინფორმის კორ.

## საკუთარ სახლში

### ავარია ტყვარჩელში

**27 მაისს**, ღამის პირველ საათზე, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურის ღია ქვესადგურში ტყვარჩელის რაიონულ ელექტროსადგურსა და ენგურჰესის „კოლხეთის" ხაზზე მოხდა მოკლე ჩართვა, რამაც გამოიწვია აფეთქება და ხანძარი. ტყვარჩელელმა მეხანძრეებმა იგი რამდენიმე წუთში ჩააქრეს. ამის გამო 36 საათის განმავლობაში იყო ქალაქი გამორთული.

მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით შეიქმნა ოპერატიული შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ტყვარჩელის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნოდარ ხარბედია.

— მიუხედავად კოკისპირული წვიმებისა, — გვითხრა ნ. ხარბედიამ, — აღდგენით სამუშაოებზე დასაქმებულთა მონდომებული და თავდადებული მუშაობის შედეგად აღდგენილია ელექტროძაბვა. ქალაქმა 28 მაისს ღამის თერთმეტის ნახევარზე ელექტროდენი მიიღო. მთლიანად აღდგენითი სამუშაოების დამთავრებას 7 ივნისისათვის ვარაუდობენ.

ავარიის დღეებში მოსახლეობისათვის პურით გვამარაგებდნენ აფხაზ-პურკომბინატის საწარმოები.

აღდგენით სამუშაოებს ეწევიან საქართველოს ენერგოსისტემის საწარმოების საგანგებო ბრიგადები, ასევე თვით ქალაქ ტყვარჩელის საწარმოთა მუშაკები, განსაკუთრებით ელექტრომექანიკური საამქროების სპეციალისტები.

ავარიის მიზეზებს იკვლევს სპეციალური კომისია.

**იოსებ ბოგჩაია,**
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

## თვალსაზრისი

# რას უქადის კაცობრიობას ბიოენერგეტიკის მომატების პერსპექტივა?

**18 და 19 მაისს** საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაცია „ბიორეზონანსის“ ბაზაზე თბილისში ჩატარდა პირველი სამეცნიერო კონფერენცია — „ბიოველის შესწავლის პრობლემების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“.

კონფერენციის ჩატარება პრესამ და ტელევიზიამ წინასწარ ამცნო საზოგადოებას. ამიტომ დარბაზში მეცნიერთა და სპეციალისტთა გარდა რიგითი მოქალაქეებიც ისხდნენ, ისინი, ვისაც ეს საკითხი აღელვებს და აინტერესებს.

რ. ხომერიკის, ა. ბობროვის, ი. მინეევის, ზ. მურვანიძის და სხვა მეცნიერთა მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილმა მასალებმა გვიჩვენა, რომ ის, რაც ადამიანს უცნაურობად მიაჩნდა (ზოგჯერ „სატანურ გამოვლინებადაც“ კი), თურმე, წმინდა ფიზიკური, მეცნიერულად ახსნილი მოვლენები ყოფილა.

ასოციაცია „ბიორეზონანსის“ პრეზიდენტის რევაზ ხომერიკისა და საორგანიზაციო კომიტეტის ყველა წევრის სახელით უნდა ითქვას, რომ გადაიდგა მეტად აუცილებელი, მე ვიტყოდი, ისტორიული ნაბიჯი. კონფერენციაზე წარმოდგენილმა უნიკალურმა ნაშრომებმა საფუძველი მოგვცა გვეფიქრა ბიოენერგოპრობლემების შემსწავლელი საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭოს შექმნაზე, აგრეთვე საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბებასა და ბიულეტენის დაარსებაზე.

სოლიდურ მოხსენებათა პარალელურად ამ კონფერენციაზე „ფანტასტიკურმა“ იდეებმაც გაიელვა. ისეთებმა, რომელთაც ხშირად ვაწყდებით „სასწაულების“ მაძიებელი დილეტანტური აუდიტორიისათვის ნავარაუდევ სენსაციურ საგაზეთო მასალებში: ასეთი იყო, მაგალითად, „გაზეთის ნომრის დამუხტვა“ სამკურნალო ბიოენერგეტიკით და სხვ. მაგრამ არსებობს ცივილიზებულ სამყაროში მიღებული ელემენტარული საყოველთაო კანონი: ნებისმიერ განაცხადს (მითუმეტეს სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილს) თან უნდა ახლდეს სათანადო მეცნიერული ახსნა. ამიტომ „ფანტასტიკურ“ წინადადებათა ავტორები კონფერენციის მეორე დღეს აღარ გამოცხადებულან. ვრცელი შესავალი მასალა, რომელიც ამ მასალას მოსდევს, კონფერენციამდე დაიწერა, ამიტომ ეს წინასიტყვაობა შეიძლება ბოლოსიტყვაობადაც მივიჩნიოთ.

●

ბოლო წლებში ხშირად მოგვკრავთ ყურს, „ადრე მხოლოდ ერთ ექსტრასენსს ვიცნობდით, ჯუნა დავითაშვილს, ახლა კი ისე მომრავლდნენ, თითქმის ყველა სადარბაზოში ექსტრასენსი მუშაობსო“. სავსებით სამართლიანი შენიშვნაა, ექსტრასენსები, ე. ი. ბიოენერგოპოტენციამოჭარბებული ადამიანები, მართლაც მომრავლდნენ და რაც დრო გავა, კიდევ უფრო მომრავლდებიან, ვინაიდან ბიოენერგეტიკის მოჭარბებასთან მიმართებით დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ასეთი ხალხის რაოდენობა კატასტროფულად გაიზრდება. თუ ორიოდე წლის წინათ ადამიანთა უმეტესობას რამდენიმე ერთეულით ემატებოდა ბიოენერგეტიკა, დღეისათვის იგი წარმოუდგენლად გაიზარდა, ოცდაათი, ორმოცდაათი, ზოგჯერ კი ასი ერთეულითაც კი. ადამიანის ბიოველის ზრდას იწვევს ეკოლოგიური პირობების გაუარესება, რადიაციული ფონის გაზრდა და აქედან გამომდინარე მიწისპირა ოზონის გააქტიურება, რაც სერიოზული პრობლემების წინაშე გვაყენებს. ასეთია იმ ქართველ მეცნიერთა მოსაზრება, ვინც ადამიანის ბიოენერგეტიკის კვლევის დარგში მუშაობს. მიწისზედა ოზონის გააქტიურებას კიდევ ბევრი სხვა მიზეზი აქვს: ციკლური პროცესების დასრულება კოსმოსში, გეოფიზიკური და სეისმური მოვლენების გაძლიერება, ჩერნობილის კატასტროფა.

სამწუხაროდ, მეტად რთულ ფაზაში გვიხდება ცხოვრება. დააკვირდით როგორ მოხშირდა ბოლო დროს დედამიწაზე ადამიანთა აგრესიული გამოვლინებები, თითქოს დედამიწის ცივილიზაცია ჭკუიდან შეშალა, მთელს კაცობრიობას აგრესია დაეუფლებია და პრესის ფურცლებსა თუ ტელეეკრანზე სულ უფრო ხშირად მოგვკრავთ თვალს და ყურს ინფორმაციებს ადამიანთა მიერ ჩადენილი გაუგონარი სისასტიკის შესახებ. ამის პარალელურად ისეთი სტიქიური მოვლენებიც ხდება, რაც უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე არ მომხდარა. აგრესიული გახდა ბუნება და რაც დრო გადის, ეს აგრესია მით უფრო ძლიერდება. ადამიანის ბიოენერგეტიკული სისტემა, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, დედამიწისა თუ კოსმოსის ენერგეტიკული გამოვლინება ურთიერთკავშირშია და მათი ერთმანეთზე მომხდარი ზეგავლენის შედეგი თვალნათლივ ჩანს. კაცობრიობა ე. წ. ბიოენერგეტიკული აფეთქების პერსპექტივის წინაშე დგას. რას გვიქადის ეს ბიოენერგეტიკული აფეთქება? კარგს რომ არაფერს, უკვე ნათლად ჩანს. მკითხველი იფიქრებს, შიდსი და პოლიტიკური შეხლა-შემოხლა, ჩერნობილი, სტიქიური უბედურებები აღარ გვყოფნის, რომ ეს რაღაც ბიოენერგეტიკული აფეთქება აღარ დაგვმატებოდაო? გასაგებია სინანულიც და გულისწყრომაც, მაგრამ ჯობს თვალებში შევხედოთ სინამდვილეს და აქედან გამომდინარე ვიმოქმედოთ. ადამიანმა უნდა იცოცხლოს და არა მარტო იცოცხლოს, უნდა იცხოვროს ჩვეულებრივად, როგორც ადრე ცხოვრობდა. ჩვენ არა გვაქვს უფლება გულხელი დავიკრიფოთ და დაველოდოთ, როდის მოგვიღებს ბოლოს ენერგეტიკული და ბიოენერგეტიკული ქარიშხლები. ჩვენ გვყავს შვილები. შვილიშვილები და მათ მომავალზე უნდა ვიზრუნოთ. ჯერჯერობით კი ბიოენერგეტიკული აფეთქებისადმი დამოკიდებულება ზერელე და არასერიოზულია. არადა, მეცნიერებმა რახანია განგაში ატეხეს, კომპეტენტური ორგანოები კი დღესაც გულგრილი რჩებიან მათ მიმართ.

1982-1987 წლებში მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტში მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც აკადემიკოსი გულიაევი ხელმძღვანელობდა, აღმოაჩინა ადამიანის ელექტრომაგნიტური ველები. ეს შრომები ასე სათაურდებოდა: „ადამიანის ორგანიზმის ოთხრეზონანსიანი მდგომარეობა“; „ცოცხალი ორგანიზმების თვისება გადასცენ ბიოლოგიური ინფორმაციები სხვა ორგანიზმებს ბიოელექტრომაგნიტური ველების საშუალებით“. ეს აღმოჩენა მეოცე საუკუნის ეტაპურ აღმოჩენათა კატეგორიას მიაკუთვნეს და მასზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. კვირა არ გავიდოდა, რომ საკავშირო პრესას ამის შესახებ რაიმე არ დაებეჭდა. აღმოჩენა, მართლაც, გრანდიოზული იყო. იგი მარტოოდენ ატომის აღმოჩენას თუ შეედრება, მაგრამ... იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი „მაგრამ“, რის შესახებაც დუმდა აღმოჩენათა და გამოგონებათა საკავშირო სახელმწიფო კომიტეტი, დუმდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია და თვით აღმომჩენი ჯგუფის ხელმძღვანელი აკადემიკოსი გულიაევი...

1972 წლის 23 ნოემბერს (გულიაევის აღმოჩენიდან 15 წლით ადრე) გამოგონებათა და აღმოჩენათა საკავშირო სახელმწიფო კომიტეტში გაიგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა, ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორის იოსებ ქურდიანისა და მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ოკეანოლოგიის კათედრის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის რევაზ ხომერიკის აღმოჩენა: „ადამიანის ორგანიზმის ოთხრეზონანსიანი მდგომარეობა (კრივოროტოვის ეფექტი)“. გეცნოთ აღმოჩენის სახელწოდება? უნებლიედ ეჭვი შეგეპარებათ, ხომ არ იყვნენ ქურდიანი და ხომერიკი წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერები და ხომ არ გაშიფრეს 1972 წლის შემოდგომაზე იმ აღმოჩენის სახელწოდება, რასაც აკადემიკოს გულიაევის სამეცნიერო ჯგუფი 1987 წელს, 15 წლის შემდეგ დაარქმევდა თავის აღმოჩენას და თუ ეს ასე არ არის, გამოდის, რომ (ღმერთო ნუ გვიწყენ) გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტში „მაუდის ქვეშ“ ამოდებულ ქურდიანის და ხომერიკის აღმოჩენას მიაგნო აკადემიკოსმა გულიაევმა და, რბილად რომ ვთქვათ, მიითვისა, უფრო მაგრად თუ ვიტყვით — მოიპარა იგი. ერთი ქართული ანდაზა ღაღადებს, „ქურდმა ერთი ცოდვა ჩაიდინა და დამბრალებელმა მეორეო“, მაგრამ მეორე ქართული ანდაზაც ხომ არსებობს, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, მით უმეტეს არსებობს იმდროინდელი ყველა ოფიციალური მიმოწერის ბეჭდიანი და ხელმოწერილი ასლები, ხელმოწერების ავტორებიც საკმაოდ კომპეტენტური პიროვნებები, გახლავთ: პროფესორი ს. ჯორბენაძე, პროფესორი მ. მირიანაშვილი, აკადემიკოსი პ. ქომეთიანი, დოცენტი ზ. ხვედელიძე, დოცენტი რ. ბელეცკაია და სხვები.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ქურდიანისა და ხომერიკის აღმოჩენა მართლაა გაგზავნილი მოსკოვში: „საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ აღმოჩენათა და გამოგონებათა სახელმწიფო კომიტეტში, 1972 წლის 29 ნოემბერს:

### ცნობა № 1879

შემოთავაზებული აღმოჩენის მიღებისა და განხილვის შესახებ.

ცნობა გაცემულია რ. ხომერიკის სახელზე და შიგ აღნიშნულია: „1972 წლის 27 ნოემბერს ავტორთა ჯგუფისაგან მიღებულია განაცხადი შემოთავაზებულ აღმოჩენაზე დიპლომის გაცემის შესახებ“. შემდეგ ჩამოთვლილია ავტორთა ჯგუფი: ა. ე. კრივოროტოვი, ვლად. კრივოროტოვი, ვ. ა. კრივოროტოვი.

სხვათა შორის, ა. ე. კრივოროტოვი გახლდათ არაჩვეულებრივი ბიოენერგეტიკული ნიჭით დაჯილდოებული ფენომენი. ბატონი ალექსანდრე თბილისის მკვიდრი იყო, ვინც მას იცნობდა, ალბათ დამეთანხმება, რომ მას არასოდეს მოუთხოვია ავადმყოფისგან გასამრჯელო. კრივოროტოვი სამეცნიერო საქმიანობაში ჩააბა საქართველოში ბიოენერგოკვლევის პიონერმა, ამ საქმის თავდადებულმა ენთუზიასტმა, რევაზ ხომერიკმა. კრივოროტოვი თავდაუზოგავად მუშაობდა, რათა რაიმე სიკეთე მოეტანა მეცნიერებისათვის, მაგრამ ამაგი იმით დაუფასეს, რომ შესაბამისმა საკანონმდებლო ინსტანციებმა შევიწროება და დევნა დაუწყეს. ალექსანდრე კრივოროტოვი იძულებული გახდა კრასნოდარში გადასახლებულიყო, სადაც ინფარქტმა იმსხვერპლა.

ხომერიკის ჯგუფის პარალელურად ბიოენერგეტიკის დარგში სხვა მეცნიერებიც მუშაობდნენ. ვინაიდან მათ არალეგალურ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, თითქმის არაფერი იცოდნენ ერთმანეთის შესახებ.

სამოციანი წლებიდან მოყოლებული დღემდე რევაზ ხომერიკმა და მისი ჯგუფის წევრებმა ბიოენერგეტიკის დარგში რამდენიმე საკაცობრიო მნიშვნელობის აღმოჩენა გააკეთეს და ბოლოს და ბოლოს თორმეტი საავტორო უფლების მფლობელნიც გახდნენ, მაგრამ ენთუზიასტ მკვლევართა მატერიალურ თუ მორალურ მხარდაჭერაზე და, რაც მთავარია, ამ აღმოჩენათა ცხოვრებაში დანერგვაზე ცოტა ვინმე თუ ზრუნავდა. აი რას წერს 1989 წლის 13 ივლისს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი მ. ხანანაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ე. ხარაძეს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ევგენი, 1984 წლის 2 ივლისს (ოქმი № 7) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ა. ლ. იანშინის 23.04.1984 წლის წერილი (რუსი აკადემიკოსიც კი ზრუნავდა საქართველოში მიმდინარე უნიკალურ სამეცნიერო საქმიანობაზე — თ. ჰ.) და მოისმინა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის მაგნიტობიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის რ. ხომერიკის მოხსენება თემაზე: ბიოსფეროს ფიზიკური ველების შემსწავლელი სპეციალიზებული ლაბორატორიის ორგანიზაციის პროექტი.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს შემდეგი მიმართულებების კვლევასა და განვითარებას: ა) ცოცხალ სისტემათა ენდოგენურ გამოსხივებათა ბუნების შესწავლა და ამ სისტემათა ურთიერთქმედება;

ბ) ეგზოგენური ელექტრული, მაგნიტური და ელექტრომაგნიტური ბუნებრივი და ხელოვნური ველების გავლენა ცოცხალ სისტემებზე;

გ) ელექტრომაგნიტური ვითარების სისტემატიური რეგისტრაცია სხვადასხვა ეკოლოგიურ რაიონებში მიღებული მონაცემების შემდგომი შედარებით ბიოლოგიურ, სამედიცინო და გერონტოლოგიურ მონაცემებთან;

2) ხელოვნური მაგნიტო-ეკოლოგიური მოწყობილობების მოდელირება და სხვადასხვა დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი გზების ძიება.

რ. ხომერიკის მიერ წარმოდგენილი პროექტი მოიცავს ფრიად ფართო ზოგადბიოლოგიურ პრობლემებს, რომელთა კვლევისათვის აუცილებელია მრავალი სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტის მონაწილეობა და კონსულტაცია (ფიზიკოსების, ქიმიკოსების, ბიოფიზიკოსების, ბიოქიმიკოსების, ექიმების და სხვ.)“.

შეგახსენებთ, ასეთი მრავალდარგობრივი ლაბორატორიის შექმნის შესახებ (აკადემიკოსების დონეზე) ლაპარაკია 1984 წლის ზაფხულში, აღმოჩენის პრიორიტეტულობაზე კი მოსკოვში ხომერიკის ჯგუფმა განაცხადი გაგზავნა 1972 წლის შემოდგომაზე! ფუჭად დაიკარგა 12-15 წელი, სულ მალე კი, რაღაც სამიოდე წელიწადში, ე. ი. 1987 წელს, აკადემიკოსი გულიაევი და რუსული პრესა ალაპარაკდება რუსი მეცნიერის მიკვლეულ აღმოჩენაზე. გამოდის, რომ ქართველებმა დავკარგეთ არა მარტო აღმოჩენის პრიორიტეტულობა, არამედ ამ აღმოჩენისგან მოტანილი დიდძალი სიკეთეც.

იმ დროს, როცა ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებიდან აკადემიის მისამართით (და პირიქით) იგზავნებოდა დიდძალი წერილები, გულიაევი და გოდიკი მომავალი აღმოჩენებისთვის ემზადებოდნენ, იმ „ველოსიპედს“ იგონებდნენ, რომელიც უკვე გამოიგონეს თბილისში ქართველმა მეცნიერებმა. სხვათა შორის, მოსკოვში კვლევის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი იყო ევგენია იუვაშის ასული დავითაშვილი, დიახ ჯუნა, ყოფილი თბილისელი მოქალაქე.

გადიოდა დრო, მეცნიერების ენთუზიასტ რევაზ ხომერიკს ჭაღარა ემატებოდა, მაგრამ ოპტიმიზმი არ აკლდებოდა, ხოლო მიმოწერის ტომებს — გვერდები:

**„ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის მაგნიტობიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელს ამხ. რ. ხომერიკს!**

თქვენს განცხადებაზე, რომლითაც მიმართეთ საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრს ამხ. ი. მენაღარიშვილს, გაცნობებთ, რომ საჭიროა აღნიშნული საკითხები დასვათ განსახილველად ონკოლოგიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და, საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინოთ დასაბუთებული ერთობლივი გადაწყვეტილება.

**ბ. რ. ნანეიშვილი,**
**საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამმართველოს უფროსი“.**

აი რას პასუხობს ბატონ ბ. ნანეიშვილს საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი (რატომღაც რუსულ ენაზეა დაბეჭდილი და შეიძლება გადათარგმნის დროს უზუსტობა დავუშვა):

„სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ ბიოსფეროში ენერგოინფორმაციული გაცვლის კვანტურ-ბიოქიმიური პერსპექტიულობა, რომელიც შეიმუშავა რ. ხომერიკმა თანაავტორებთან ერთად.

1972 წლიდან მოყოლებული დღემდე მრავალი დადებითი რეცენზიებისა და დასკვნების საფუძველზე, სამეცნიერო საბჭომ ერთხმად ჩათვალა პერსპექტიულად შემოთავაზებული კონცეფცია და შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რომ განიხილოთ ბიოლოგიური ობიექტების ფიზიკური ველების შემსწავლელი ცენტრის შექმნის აუცილებლობის საკითხი, ცენტრისა, რომელსაც რ. ხომერიკი უხელმძღვანელებს.

**რ. ვეფხვაძე,**
**საქართველოს ონკოლოგიური ცენტრის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი“.**

მაშასადამე, ბატონი ბიძინა ნანეიშვილი რეზო ხომერიკს წერილობით უმტკიცებს — ეგ შენი წინადადება ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრმა განიხილოს და თუ დაასაბუთებენ, ერთობლივი გადაწყვეტილება წარმოადგინეთ და მერე ჩვენ ვიცითო, ე. ი. თუ ონკოლოგიური ცენტრი დაასაბუთებდა ბიოლოგიური ობიექტების ფიზიკური ველების სპეციალიზებული საკვლევი ცენტრის შექმნის აუცილებლობას, პირველი, ვინც ამ სასარგებლო წინადადებას დაუჭერდა მხარს, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამმართველო უნდა ყოფილიყო:

**„ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორს პროფ. რ. ვეფხვაძეს**

თქვენს ა/წ 10 ივლისის № 872 მომართვაზე გაცნობებთ, რომ თუ საჭიროდ თვლით, ონკოლოგიის სამეცნიერო მიზნებისათვის შეგიძლიათ წარმოადგინოთ დასაბუთებული წინადადება, რათა თქვენთვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში შექმნათ ბიოლოგიური კვლევის ლაბორატორია, სათანადო განხილვისათვის.

რაც შეეხება ამ პროფილის ცალკე დაწესებულებების შექმნას, რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ამის შესაძლებლობა ამჟამად არ გააჩნია. გარდა ამისა, ამგვარი გამოკვლევები სცილდება მედიცინის უშუალო ამოცანებს და, სათანადო კადრებისა და ბაზების არსებობის პირობებში, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სხვა სამეცნიერო უწყებაში“.

ნუ მიწყენენ პატივცემული მეცნიერები და ეს პასუხი გუგულის მიერ სხვის ბუდეში კვერცხის ჩადების ცდას მაგონებს.

საკვირველია, რას ნიშნავს „ამგვარი გამოკვლევები სცილდება მედიცინის უშუალო ამოცანებს“? რევაზ ხომერიკის (შემდგომ კი აკადემიკოს გულიაევის აღმოჩენაში) შავით თეთრზე წერია, ისევე როგორც ყველა ბიოლოგიურ ობიექტს, ადამიანებსაც აქვთ ელექტრომაგნიტური ველებიო. აღმოჩენასაც ასევე ეწოდება: „ადამიანის ორგანიზმის ოთხრეზონანსიანი მდგომარეობა“. რახან ადამიანის ორგანიზმზეა ლაპარაკი, მაშასადამე „კი არ სცილდება მედიცინის უშუალო ამოცანებს“, უახლოვდება. მაგრამ რახან საქმეში ელექტრომაგნიტური ველები ფიგურირებს, ფიზიკოსების საქმეც ყოფილა ამ კვლევაში მონაწილეობის მიღება. ლაპარაკია ერთობლივი სამეცნიერო ცენტრის შექმნაზე, სადაც ადამიანის ელექტრომაგნიტურ მოვლენებს მედიკოსი მეცნიერები შეისწავლიდნენ ფიზიკოსებთან ერთად. აკი წერს კიდეც აკადემიკოსი მ. ხანანაშვილი აკადემიკოს ე. ხარაძის სახელზე გაგზავნილ თავის წერილში: „რ. ხომერიკის მიერ წარმოდგენილი პროექტი მოიცავს ფრიად ფართო ზოგადბიოლოგიურ პრობლემებს, რომელთა კვლევისათვის აუცილებელია მრავალი სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტის მონაწილეობა და კონსულტაცია (ფიზიკოსების, ქიმიკოსების, ბიოფიზიკოსების, ბიოქიმიკოსების, ექიმების და სხვ.)“.

ვიდრე საქართველოში მიმოწერა გრძელდებოდა, მოსკოვში გულიაევი წარმატებით აფართოებდა და პრაქტიკულად ნერგავდა თავის აღმოჩენებს. უკონტაქტო ბიომასაჟით მკურნალობა მოსკოვის ასამდე კლინიკაში და სტაციონარში დაინერგა. ბიოლოგიური ობიექტების ელექტრომაგნიტური ველების კვლევის ცენტრმა გეზი აიღო „ექსტრასენსის“ მექანიკური ანალოგის შექმნისაკენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მედიცინის დასახმარებლად მოვიდოდა ასობით, ათასობით ექსტრასენსი რობოტი, დაიზოგებოდა დიდძალი მედიკამენტები და სხვ.

სხვათა შორის, 1984 წლის გაზაფხულზე ლუსია ჯინჭარაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა წერილობით მივმართეთ საქართველოს ჯანდაცვის მაშინდელ მინისტრს ლეჟავას, ვთხოვდით, შეესწავლათ ჩვენში არსებული ელექტრომაგნიტური ველები, რასაც განცხადების ავტორთა აზრით სამკურნალო თვისებები გააჩნდა. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ პასუხიც მივიღეთ, რომ ადამიანს არავითარი ელექტრომაგნიტური ველები არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, რაც არ არსებობს, იმის შესწავლა არ შეიძლება. ამ პასუხს ხელს აწერდა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამმართველოს უფროსი — ბ. რ. ნანეიშვილი.

მაშინ იმ განცხადებების დაწერა გვირჩია ექიმმა გია სულაქველიძემ, რომელიც სამინისტროს თანამშრომელი და ბიოენერგოინფორმაციის შესწავლის დიდი ენთუზიასტი გახლდათ. მისი ინიციატივით ლუსია ჯინჭარაძე, ზაურ ჭიკაძე და ამ სტრიქონების ავტორი სამეცნიერო ექსპერიმენტებში მონაწილეობის მისაღებად მიგვიწვიეს. ექსპერიმენტები ვირთხებზე ტარდებოდა. ქალბატონმა ლუსიამ ეთერით მოწამლული, სასიკვდილოდ განწირული ვირთხა, გააცოცხლა. გია სულაქველიძე კი „ინკვიზიციამ“ სამსახურიდან დაითხოვა, როგორც „ჯადოქრების მეგობარი და ხელშემწყობი“.

შემდეგ გია სულაქველიძე თავად გახდა „პრაქტიკოსი ჯადოქარი“ და ჯუნა დავითაშვილის მოწაფე. ამჟამად იგი თბილისის 2-ე პოლიკლინიკის — სტაციონარის ბიოენერგოთერაპიის განყოფილების უფროსი გახლავთ და თავადაც მკურნალობს პაციენტებს. აი, რას სწერს პროფესორ ჯუნა დავითაშვილს საქართველოს კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილაქტიკური კარდიოლოგიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ბურკაძე:

—გვსურს მადლობა გადაგიხადოთ უკონტაქტო ბიომასაჟის თქვენი მეთოდისათვის, რომელსაც თქვენი ყოფილი მოწაფე ექიმი გია სულაქველიძე იყენებდა ჩვენს პაციენტებთან არტერიალური ჰიპერტონიის მკურნალობისას.

სამუშაოები ტარდებოდა ორი თვის განმავლობაში პროფილაქტიკური კარდიოლოგიის თანამშრომლებთან ერთად. ეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო გახლავთ ნაწილი იმ პროგრამისა, რომელიც შეიმუშავა პროფილაქტიკური მედიცინის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა. აღნიშნული მეთოდი ჩვენს მიერ პირველად იქნა გამოყენებული (შერჩეულ კონტინგენტზე). წინასწარი შედეგები საგრძნობლად დამაიმედებელია. ჩვენ, პრაქტიკულად, მთელ პოპულაციაზე დადებითი შედეგები მივიღეთ, თუმცა დაკვირვებების გაგრძელება აუცილებლად მიგვაჩნია.

თქვენი თანხმობის შემდეგ გადაწყვეტილი გვაქვს ეს მეთოდი დავნერგოთ ჩვენი ქვეყნის იმ ცენტრებშიც, რომლებიც მუშაობენ არტერიული ჰიპერტონიის მკურნალობის დარგში არამედიკამენტოზური კორექციის პროგრამით.

ქალბატონო ჯუნა! ვიმედოვნებთ, რომ თქვენი მეთოდიკის ქართული სკოლა საპატიო ადგილს დაიჭერს პრაქტიკულ ჯანდაცვაში“.

გია სულაქველიძე ამ ცოტა ხნის წინათ გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც მიწვეული იყო ერთ-ერთი კომერციული ფირმის თანამშრომელთა სამკურნალოდ. ბატონმა გიამ ამ ფირმის ხელმძღვანელთა მადლობის ბარათი ჩამოიტანა წარმატებით ჩატარებული მკურნალობისათვის.

რაც შეეხება ქალბატონ ლუსია ჯინჭარაძეს, საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროზე განაწყენებული, მოსკოვს გაემგზავრა სიმართლის საძიებლად და ბოლოს მიაღწია კიდეც საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის რეზოლუციას ლ. ჯინჭარაძის ფენომენის კლინიკურ პირობებში შესწავლის შესახებ. სამეცნიერო სამუშაოები კარგა ხანს გაგრძელდა მოსკოვის № 5 ნარკოლოგიურ საავადმყოფოში, რის შემდეგაც ქალბატონი ლუსია ჯინჭარაძე გახდა მფლობელი საავტორო მოწმობისა ალკოჰოლური პოლინეირორადიკულიტების მკურნალობის საკითხებში, ხოლო ამ სტრიქონების ავტორმა გეზი უცხოეთისაკენ აიღო, იყო ბულგარეთში, მუშაობდა ბულგარელ მეცნიერებთან, მკურნალობდა იქაურ მწერლებს, ჟურნალისტებს, ხელოვნების მუშაკებს, შემდეგ მუშაობდა ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველოში კი ისევ დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, თითქმის არალეგალურად მოღვაწეობდნენ ბიოენერგოკორექციის ენთუზიასტი მეცნიერები და ამ ფენომენის მატარებელი პირები, ჯანმრთელობის სამინისტრო და მეცნიერებათა აკადემია არაფერს იმჩნევდნენ ან არ სურდათ შეემჩნიათ. ექსტრასენსორიკაში ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა. „პერესტროიკამ“ „სიტყვის თავისუფლება“ მოიტანა და პრესა დაახლოებით ასეთი ტიპის სამარცხვინო, უნიჭო რეკლამებით აჭრელდა: „...უნიკალური ბიოდენების მქონე ექსტრასენსი კურნავს...“ — და ჩამოთვლიდნენ ხოლმე იმდენ დაავადებას, რასაც, ალბათ, ვერ გაწვდებოდა საბჭოთა კავშირის ვერც ერთი საავადმყოფო, ერთად აღებული.

ერთ-ერთ ქართულ გაზეთში ასეთი რეკლამაც დაიბეჭდა (გთავაზობთ ფრაგმენტს ამ რეკლამიდან, რაც მისი შემდგენლების სრულ არაკომპეტენტურობაზე და უმეცრებაზე მიგვანიშნებს): „უნიკალური ბიოდენების მქონე ექსტრასენსი... ღებულობს კლიენტებს მისამართზე“...

ჯერ ერთი, არა „ბიოდენები“, არამედ ბიოლოგიური ობიექტების ბიოენერგეტიკული ულტრასტრუქტურული სუბსტანცია, უკიდურეს შემთხვევაში ბიოველი. შემოკლებით ბიოენერგეტიკული ულტრასტრუქტურა. მეორეც, არა „ექსტრასენსი“, არამედ ბიოკორექტორი ან ბიოენერგოოპერატორი, მესამეც, „უნიკალური ბიოდენები“ არ არსებობს (ხაზს ვუსვამ „უნიკალურს“), ვინაიდან ე. წ. „ბიოდენები“, ე. ი. ბიოენერგეტიკული სუბსტანცია ყველა ცოცხალ ბიოლოგიურ ორგანიზმს აქვს. გარდაცვლილი ადამიანიც ინარჩუნებს ამ სუბსტანციას 40 დღის განმავლობაში, მოჭარბებული და გაძლიერებული ბიოველი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, დღეს ყოველ მეორე ადამიანს აქვს. ფაქტიურად ეს ანომალია გახლავთ და საჭიროა ამ საცოდავ დღეში ჩავარდნილი ადამიანების შველა. „უნიკალური“ აქ არაფერია. უნიკალურია სულ სხვა მოდელი, რისი გაიგივებაც შედარებით უხეშ ბიოენერგოსტრუქტურის ცნებასთან უმეცრების, არაკომპეტენტურობის მაუწყებელია, და ბოლოს, მეოთხე, — პაციენტსა და კლიენტს შორის დიდი განსხვავებაა: პაციენტები მოდიან სტომატოლოგთან, თერაპევტთან, გინეკოლოგთან, მკურნალთან; კლიენტები ჰყავს: ოფიციანტს, მექისეს, მეწაღეს, ვექილს, მეძავს ბოლოს და ბოლოს და არავითარ შემთხვევაში მკურნალს, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა დაავადების მორჩენაზე, ასტრალურად მოგზაურობს უცხო პლანეტებზე, ელაპარაკება მეორადი სამყაროს მკვიდრთ (ასეთი მკურნალებისაგან კიდევ ბევრ ფანტასტიკურ ამბებს გაიგონებთ).

ყველას არა აქვს უფლება ბიოენერგოკორექტორად იწოდებოდეს, ჰყავდეს პაციენტები! ამას წლობის ტიტანური შრომა და დამსახურება სჭირდება. აბა ერთი წუთით წარმოდგინეთ, რომელიმე გაზეთში რომ დაიბეჭდოს ასეთი რეკლამა — „უნიკალური მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული კლასიკოსი კომპოზიტორი წერს ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის ნაწარმოებებს. კლიენტების მიღება... მიწისქვეშა გადასასვლელში... კოოპერატიული ტუალეტის გვერდით, 5-დან 8 საათამდე“.

მე ასე მწამს, თუ კაცი დიდი მომღერალია, ის ოპერის სცენაზე უნდა მღეროდეს (ფილარმონიის სოლისტი მაინც უნდა იყოს), კარგი მეტალურგი ფოლადს უნდა ადნობდეს მეტალურგიულ ქარხანაში, ოსტატი მჭედლის ადგილი სამჭედლოშია... მკურნალი, თუ ის მართლაც უნიკალურია და ისეთი ძლიერი მკურნალია, რომ რამდენიმე დაავადებას არჩენს, სამედიცინო დაწესებულებაში უნდა მუშაობდეს — კლინიკაში ან საავადმყოფოში, ექიმების გვერდით და მათი მეთვალყურეობით და არა მიწისქვეშა გადასასვლელის კოოპერატიულ ტუალეტში. დიახ, არიან ისეთი „უნიკალური ბიოდენების მქონე ექსტრასენსებიც“, რომლებიც „კლიენტებს“ მიწისქვეშა გადასასვლელებში ღებულობენ, კოოპერატიული ტუალეტების გვერდით. ან რომელი ჭკუათმყოფელი პაციენტი მიდის მკურნალთან ტუალეტში სამკურნალოდ?

ვისი ბრალია, რომ დღეს ასობით, ათასობით ე. წ. ექსტრასენსები, რომლებიც თავად საჭიროებენ მკურნალობას, ერთმანეთს ეჯიბრებიან პრესის ფურცლებსა, ტელე და რადიოეთერში მოხვედრაზე? ვისი ბრალია, რომ ზოგიერთი ე. წ. ექსტრასენსი თითო სეანსში 100 მანეთს თხოულობს „კლიენტისაგან“? ვისი ბრალია, რომ დღეს ყოველ ორღობესა და სადარბაზოში ექსტრასენსები უმოწყალოდ ყვლეფენ საცოდავ ადამიანებს? ვისი ბრალია ეს ყველაფერი, გორბაჩოვის, ხომერიკის თუ ბედის უკუღმართობისა, ადამიანებს სიღატაკის ზღვარზე რომ გადააბიჯებინა და ლუკმაპურის მოსაპოვებლად ყველაფერს აკადრებინებს?

ძნელია ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ძალიან ძნელი, მაგრამ ერთი რამ მტკიცედ მწამს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თავის დროზე ყური რომ ეთხოვებინათ ხომერიკის სამეცნიერო ჯგუფისა თუ ბიოენერგეტიკის დარგში მომუშავე სხვა სპეციალისტთა ათასგზისი წერილობითი და სიტყვიერი თხოვნებისთვის (ისევე, როგორც ეს გააკეთა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ გულიაევისა და გოდიკის სამეცნიერო ჯგუფის მიმართ), დამერწმუნეთ, დღეს ასეთი ქაოსი და „რასპუტინშჩინა“ აღარ იქნებოდა საქართველოში.

არსებობს მეცნიერთა აზრი იმის შესახებ, რომ მოჭარბებული ბიოველი ტანჯავს ადამიანს, მოსვენებას, ძილს უკარგავს, დეპრესიულ, ზოგჯერ კი ისტერიულ მდგომარეობაში შეჰყავს. კიდევ ვიმეორებ, ასეთ ადამიანებს შველა, დახმარება ესაჭიროებათ. საჭიროა მათი განმუხტვა სათანადო ხელსაწყოებისა და განმმუხტავი აპარატურის გამოყენებით, რაც უკვე შექმნეს ქართველმა მეცნიერებმა და რასაც აღიარება და სერიული წარმოება ესაჭიროება.

რაც შეეხება განსაკუთრებული სამკურნალო თვისებების ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, სასურველია, რომ იგი მედიცინასთან კონტაქტით მუშაობდეს. ჩახედეთ თვალებში „უნიკალური ბიოდენების მქონე ექსტრასენსებს“ და თქვენ იქ ამოიკითხავთ მხოლოდ ანგარებას. დიახ, დღევანდელი სიღატაკე სუსტი ნებისყოფის ადამიანებს ყველაფერს აკადრებინებს ლუკმაპურის საშოვნელად. ნებისმიერი სასარგებლო შრომა უნდა დაფასდეს, უნდა დაფასდეს ეკონომიკურად, უნდა წახალისდეს მორალურად და ეს უნდა ხდებოდეს ორგანიზებულად, ცენტრალიზებული გზით, სათანადო, ავტორიტეტული და კომპეტენტური ორგანოების უშუალო მონაწილეობით, იმისდა მიხედვით, თუ ვის რისი უნარი აქვს და რას იმსახურებს.

ცნობილი ბიოენერგოოპერატორი მაგული გორდელაძე სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობს. დიახ, სამედიცინო დაწესებულებაში და არა სხვაგან სადმე! მუშაობს და ხელფასსაც იღებს ყოველთვიურად, თავისი საქმიანობის გასამრჯელოს. თითქმის წელიწადნახევარი გავიდა გაზეთ „თბილისში“ მაგული გორდელაძეზე იმ გახმაურებული სტატიის დაბეჭდვიდან.

ქალბატონ მაგულის დიდძალი ხალხი მიაწყდა, დღე და ღამე მისი ბინის კართან არ თავდებოდა დავრდომილ ადამიანთა გრძელი რიგები. მაშინ მან კატეგორიულად მოსთხოვა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ან სამედიცინო დაწესებულებაში მივიღებ ავადმყოფებს ან არსად! მაგულის საავადმყოფოში მუშაობის ნება დართეს. მან ბავშვები აირჩია და თბილისის № 1 ბავშვთა საავადმყოფოში დამკვიდრდა. პირველი ორი თვე დაკვირვებებს მოხმარდა. მას უნდა ეჩვენებინა რა შეეძლო. მაგულიმ დაამტკიცა, რომ შეუძლია იყოს მედიცინის მუშაკთა ღირსეული თანაშემწე, რომ საავადმყოფოში გასამდიდრებლად არ მისულა.

თბილისის № 1 ბავშვთა კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი არჩილ ნაცვლიშვილი:

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეკომენდაციით ბავშვთა № 1 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა ბიოენერგოკორელაციური მეთოდებით დიაგნოსტიკის ლაბორატორია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქალბატონი მაგული გორდელაძე. ამ ჯგუფში კიდევ ორი ექიმი შედის. ჯგუფის მიზანია ერთიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ავადმყოფთა კვლევა და მკურნალობა.

ამ ხნის მანძილზე დავეხმარეთ ორასამდე ავადმყოფს, ყველანი წინასწარ გამოვიკვლიეთ საავადმყოფოში არსებული დიაგნოსტიკური საშუალებებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი მაგული და მისი ლაბორატორია დიდი პოპულარობით სარგებლობენ ავადმყოფთა შორის, რაც ნათლად ჩანს საავადმყოფოს ადმინისტრაციის სახელზე მოსულ მადლობის წერილებშიც.

ჩემი აზრით, აღნიშნული ფენომენი საჭიროებს უფრო ღრმა და მრავალმხრივ შესწავლას მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მონაწილეობით.

ლიანა კვირიკაშვილი, ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი:

ქრონიკული დაავადებების დროს ბავშვებს ხანგრძლივი დროის მანძილზე უხდებათ დიეტაზე ყოფნა, სხვადასხვა წამლების მიღება, მათ შორის ძლიერმოქმედი ანტიბიოტიკებისა სუბვიბრალური ტემპერატურის გამო. ხშირად ბავშვებს აწუხებთ ტკივილები, დაქვეითებული აქვთ მხედველობა, ხმარობენ სათვალეს, რაც უსიამოვნო განცდებს იწვევს მათში. ხელს უშლის თამაშის დროს.

ქალბატონი მაგული ჩემს გოგონასაც მკურნალობდა. ყოველგვარი მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაეცა სუბვიბრალური ტემპერატურა, გაქრა ტკივილები მუცლის არეში, გაუმჯობესდა ჭამის მადა. მნიშვნელოვნად გავაფართოეთ დიეტა, ბავშვს გაუუმჯობესდა მხედველობა, თირკმელების მოქმედებაც შესამჩნევად გაუმჯობესდა, რაც ექოსკოპიამ და ლაბორატორიულმა მონაცემებმაც დაადასტურა.

ასეთი ზემოქმედების ეფექტიანობა უცილობელია. როგორც ჩანს, ამ დროს მნიშვნელოვნად უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების დათრგუნვას.

ჩემი აზრით, აუცილებელია ქალბატონი მაგულის ფენომენის შესწავლა მოეწყოს საქართველოს სამეცნიერო ლაბორატორიებში.

პირადად მე, შევთავაზე ქალბატონ მაგულის მონაწილეობა მიეღოს რამდენიმე ექსპერიმენტში, რაზეც იგი სიამოვნებით დამთანხმდა. კერძოდ, ელექტროფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენებით ვაპირებთ შევისწავლოთ ცხოველების თავის ტვინის მოქმედების ცვალებადობა ბიოველის ზეგავლენით. სარწმუნო შედეგების მიღების შემდეგ ალბათ სხვა ლაბორატორიებიც შემოგვიერთდებიან და ამრიგად კვლევის დიაპაზონიც გაფართოვდება.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქალბატონ ლიანას ვურჩიო აუცილებლად მოიწვიოს ექსპერიმენტების ჩატარების დროს რევაზ ხომერიკი, ანატოლი ბობროვი როგორც ბიოენერგეტიკის მცოდნე ფიზიკოსი მეცნიერები, ეს თანამშრომლობა ბევრად გაგიადვილებთ მუშაობას და დარწმუნებული ვარ, შედეგებიც გაცილებით უკეთესი გექნებათ.

ქალბატონმა მაგულიმ ბავშვებთან სიყვარულითა და თანაგრძნობით დამძიმებული სული მიიტანა, დიახ, მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, ბევრი ბავშვი მაგულის დედას უწოდებს, ბევრ ბავშვს მისი სურათი სასთუმალთან უდევს, ბევრს დღის ბოლოს დაღლილი დეიდა მაგულისთვის ფუნთუშები მოაქვს და მოთმინებით იცდის რიგში მხოლოდ იმიტომ, რომ „დააპუროს“ დაღლილი მკურნალი.

რევაზ ხომერიკს კი ხშირად ფუნთუშების ფულიც არ რჩებოდა. მისი სამეცნიერო ჯგუფის კვლევა იმ ფაზაში შევიდა, როცა მეცნიერული ექსპერიმენტები ძვირადღირებულ აპარატურას, ხელსაწყოებს საჭიროებდა. ხომერიკმა საკუთარი ნივთებიდან თითქმის ყველაფერი გაყიდა, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, სამეცნიერო მუშაობა უფრო დიდ ხარჯებს მოითხოვდა, დახმარებას კი არავინ ფიქრობდა და მაშინ გაჩნდა კოოპერატივის შექმნის იდეა, რომელიც ფაქტობრივად უნდა გამხდარიყო ხომერიკის ჯგუფის ძირითადი დამფინანსებელი წყარო. რას აკეთებდა ეს გახმაურებული კოოპერატივი? მსურველებს ესინჯებოდათ ბიოენერგოპოტენცია. სათანადო ფულადი გადასახადის გაღების შემდეგ ირიცხებოდნენ ჯგუფებში და ხდებოდნენ მსმენელები. ჩემთან საუბრის დროს ბატონმა რეზომ აღნიშნა, რომ პირველ რიგში ბიოენერგოპოტენციამოჭარბებულ ავადმყოფებს ვასწავლით, თუ როგორ მოაწესრიგონ საკუთარი ენერგეტიკული სისტემა და ამით იგრძნონ შვება, გახდნენ ჯანმრთელები. გარდა ამისა, მსმენელები გადიან ზოგად კურსს, ე. ი. სწავლობენ ზოგიერთ ელემენტალურ მეთოდს, ანბანს, რის საშუალებითაც მათ შეუძლიათ ახლობლებს, ოჯახის წევრებს, თუ საჭირო იქნა, აღმოუჩინონ დახმარება. თავიდანვე კოოპერატივში ჩარიცხვის მსურველი ძალიან ბევრი იყო, იმაზე მეტი, ვიდრე ამას ბატონი რეზო ფიქრობდა. იმის გამო, რომ „ბიოენერგეტიკული ეპიდემია“ მასობრივია, უარს თითქმის არავის ეუბნებოდნენ. კურსდამთავრებულებს ეძლეოდათ სათანადო დიპლომები იმის შესახებ, რომ გაიარეს ბიოკორექციის შესაბამისი კურსები. მაგრამ მოხდა ის, რომ ხომერიკის კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა ე. წ. ექსტრასენსობის პრეტენზია განაცხადა. ბევრი ჩემთანაც მოვიდა, მთხოვდნენ დამატებით შესწავლებინა მათთვის მკურნალობის „განსაკუთრებული“ მეთოდები და სათანადო გასამრჯელოსაც მპირდებოდნენ.

მე უაღრესად დიდ პატივს ვცემ ბატონ რევაზ ხომერიკს, ის უდაოდ დიდი მეცნიერია, ფასდაუდებელია ბიოლოგიური ობიექტების ელექტრომაგნიტური ველების კვლევის დარგში მის მიერ მოპოვებული წარმატებები. მჯერა, სულ მალე დადგება დრო და ეს აღმოჩენები უდიდეს სამსახურს გაუწევს არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას, არამედ მთელი კაცობრიობის დარგებსაც, მაგრამ ბატონ რეზოს ერთ რამეში არ ვეთანხმებოდი, კერძოდ, არ ვიზიარებდი აზრს, რომ ვინაიდან ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია ბიოველი, აქედან გამომდინარე კი ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს ბიოენერგოკორექტორი. ბიოენერგოსუბსტანცია ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია, მაგრამ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი ვერ გახდება მკურნალი, ბიოენერგეტიკა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მკურნალი გახდე. ეს ველი იმ უმთავრესი თვისების ნიჭის ავადმყოფამდე მიტანის არხია (მატარებელია, ტრანსპორტირების საშუალება), რითაც ხდება განმკურნავი სუბსტანციის დაავადებულ ორგანომდე მიტანა, ე. ი. საკმარისი არ არის აღმოაჩინო ადამიანში მოჭარბებული ენერგია, საჭიროა ამ ადამიანში აღმოაცენო, აღზარდო ყველა ის აუცილებელი თვისება, რისი მეშვეობითაც შეძლებს გახდეს ჭეშმარიტი მკურნალი, ბიოენერგომკურნალი პირველ რიგში უნდა იყოს:

1. ჯანმრთელი
2. მშვიდი (ამისათვის საჭიროა განმმუხტავი აპარატურის წარმოება)
3. ამაღლებული ინტელექტის მქონე
4. მიმტევებელი
5. განათლებული
6. კეთილი
7. უნდა ფლობდეს მედიტაციის ხელოვნებას
8. უნდა ჰქონდეს უნარი, უყვარდეს ნებისმიერი ავადმყოფი
9. ანგარება არ უნდა იყოს მისი მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი
10. თუ გადაუხდიან გასამრჯელოს, ღმერთს მადლობა შესწიროს, თუ არ გადაუხდიან, მაინც შესწიროს მადლობა, რომ მიეცა საშუალება კეთილი საქმის ჩადენისა.

ეს არ გახლავთ ჩემი მოსაზრებები. ეს არის გამოცდილება, სიბრძნე, სხვადასხვა ეპოქის სულიერი მიმდინარეობებისა, ეს გახლავთ ჭეშმარიტება! ამიტომ ჭეშმარიტება არ შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტული პიროვნების აზრი. ჭეშმარიტება ერთადერთი და უტყუარი ფაქტია, რასაც ვერავითარი გონიერი არსება გვერდს ვერ აუვლის! სწორედ ამიტომ არ შეიძლება ერთდროულად, ერთ ეპოქაში იყოს ასეთი ბევრი „ექსტრასენსი“ — ხელისდადებით მკურნალობა სულიერი და ფიზიკური სრულყოფის მწვერვალია, გზა ამ მწვერვალისაკენ კი ძნელია, მეტად ძნელად გასავლელი.

ამ აზრს ახლა ბატონი რევაზიც იზიარებს...

თავის დროზე ყურად რომ ეღოთ ამ დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა ათასგზისი თხოვნა, სათანადო ყურადღება რომ მიექციათ მათთვის, აღმოეჩინათ სათანადო დახმარება, მაშინ არც ასეთი განუკითხაობა იქნებოდა დღეს ექსტრასენსორიკაში.

რევაზ ხომერიკის სამეცნიერო ჯგუფის კონცეფცია ბიოენერგოფენომენის შესახებ ასეთია:

მთლიანი ორგანიზმი წარმოდგენილია, როგორც ღია ენერგეტიკული სისტემა, რომელიც ენერგიასა და საკვებს იღებს გარე ეკოლოგიური გარემოდან და თავისი არსებობით ზრდის გარემოს ენთროპიას.

ორგანიზმში ენერგია განიცდის ტრანსფორმირებას ბიოქიმიური რეაქციების ფონზე.

ნივთიერებათა ცვლის პროცესში წამყვანი მარეგულირებელი როლი ენიჭება ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რომელიც შეთანხმებულად ფუნქციონირებს ენდოკრინულ და იმუნურ სისტემებთან ერთად. ორგანიზმში მიმდინარე ყველა ბიოქიმიურ რეაქციას მართავს სათანადო გენი. რეაქციათა კატალიზატორებია ფერმენტები. მოქმედებს პრინციპი: „გენი-ფერმენტი-სუბსტრატი-სათანადო ბიოქიმიური რეაქცია“.

ორგანიზმის რეაქციათა საფუძველზე წარმოიშობა სპონტანური ენდოგენური ელექტრომაგნიტური გამოსხივებები. მათ შორის ულტრაიისფერი (უ. ი.) პირველადი გამოსხივებაა, რომელიც უმთავრესად წარმოიშობა ელექტრომაგნიტური სპექტრის ორ დიაპაზონში — დაუჟანგავი ცხიმიანი მჟავეების აუტოდაჟანგვის დროს წარმოიშობა თავისუფალი რადიკალები და არაშეწყვილებული ელექტრონები, რომლებიც ულტრაიისფერი ქემილიუმინესცენციის ცენტრებია. თანამედროვე ბიოლოგიაში ეს გამოსხივებები ცნობილია, მაგრამ მათი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური დანიშნულება მხოლოდ ქართველ მკვლევართა ჯგუფის თეორიაში პოულობს ახსნას.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ჰორმონების, ანტიდამჟანგველების, იონების და სხვა აქტიური ელემენტების შთანთქმის დიაპაზონები შეთანხმებულია აღნიშნულ ულტრაიისფერ გამოს-

(დასასრული მე-3 გვ.).

## მეგობრული შარჟები პრეზიდენტობის კანდიდატებზე



ლევან მარგიანის ნახატები.

## თვალსაზრისი

# რას უქადის კაცობრიობას ბიოენერგეტიკის მომატების პერსპექტივა?

(დასასრული)

ხიზებათა დიაპაზონებთან და თუ ცოცხალ ორგანიზმში ეს პირობა დაირღვა, ვითარდება პათოლოგიური პროცესები.

ზემოხსენებული ენერგიის ნაწილი, რომელიც ორგანიზმიდან გამოიფრქვევა, გარემოში სხვა ორგანიზმზე ზემოქმედების დროს იწვევს ბიორეზონანსული მექანიზმებით ინტაქტურ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის გააქტივებას.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მოვლენა განაპირობებს ექსტრასენსორული ზემოქმედების ძირითად საფუძველს. ამრიგად, მეტნაკლებად ყოველ ცოცხალ ორგანიზმს და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს ახასიათებს ეს მოვლენები და ზებუნებრივი აქ არაფერია.

ეკოლოგიური პირობების გაუარესებამ გამოიწვია ადამიანში ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის, ენერგიის („პრანას") გააქტივება და მასობრივი. გახდა ექსტრასენსორული მოვლენები. რაც დრო გავა, ეს პროცესები კიდევ უფრო გაძლიერდება, ეს კი ადამიანთა მოდგმას ემუქრება.

ბიოველის მექანიზმის შესწავლისათვის საჭიროა ინტეგრალური მიდგომა — მარტო ერთი მეცნიერება ამას ვერ გაწვდება. ყოველივე ამისათვის უნდა არსებობდეს სათანადო სამეცნიერო ბაზა, რის შესახებაც ხომერიკის ჯგუფის მიერ შესრულებული შრომების საფუძველზე არაერთ მეცნიერს გამოუთქვამს აზრი. მათ მიერ ჩატარებული კვლევები მრავალმხრივია. განსაკუთრებით საყურადღებოა ეგრეთწოდებული „მატერიის იპოტრონული თეორია", რომელსაც მხარს უჭერდა აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი. ამ შრომაში წარმოდგენილია მატერიის ნაწილაკთა რეალური ბუნების მოდელი, რომელიც ავსებს თანამედროვე მეცნიერებაში არსებულ „თეთრ ლაქებს". ფაქტიურად იპოტრონული სტრუქტურა ატომის სტრუქტურის გაგრძელებაა, არის კიდევ სხვა უფრო რთული სტრუქტურა, რაც თავის მხრივ იპოტრონული სუბსტანციის გაგრძელებას წარმოადგენს.

მაგიური ენერგიის „პრანას" არსებობა უხსოვარი დროიდან იცოდნენ ადამიანებმა. სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებებში პრანა სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ამჟამად პრანას მეცნიერული განმარტება გააჩნია და ცნობილია მისი წარმოშობის მიზეზები, სპეციალური ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური ვარჯიშების შედეგად სათანადო აპარატების გამოყენებით შეიძლება ამ ენერგიის რეგულირება, დოზირება და სწორი მიმართულებით წარმართვა, ეს კი ფულად სახსრებს და მხარდაჭერას მოითხოვს და, რაც მთავარია, ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს, რასაც ბიბლიურ ათ მცნებასთან მივყავართ. „პრანას" მოწესრიგება და მართვა განსაკუთრებულად გართულდა თანამედროვე ეკოლოგიურ პირობებში. როგორც აღმოსავლეთში, ასევე ინდოეთში. ასეთი ტიპის მკურნალები იშვიათობას წარმოადგენდნენ, მათ საზოგადოება განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა.

ასეთი მკურნალი არამც და არამც არ იკადრებდა კოოპერატიული ტუალეტის ტიპის დაწესებულებაში „კლიენტების" მიღებას, ისევე როგორც კარატეს ნამდვილი ოსტატი არ იკადრებს ღრეობაში, ან ბაზარში მუშტი-კრივის გამართვას. მაშასადამე საჭიროა ბიოენერგეტიკამოჭარბებული ადამიანების შველა, პირველ რიგში შველა! ხოლო თუ ამ ადამიანთაგან ზოგიერთს აღმოაჩნდება მკურნალის ნიჭი ან თვისებები, მათთვის სპეციალურად მოეწყობა სკოლა, სადაც დაეუფლებიან საკუთარი სულიერი მდგომარეობის მოწესრიგების სიბრძნეს.

შარშან უცხოეთში ტურისტული მოგზაურობის დროს ჩვენი ჯგუფი ექსტრემალურ პირობებში მოხვდა. ჩვენ მიწის ზედაპირიდან დაახლოებით ექვსი ათასი მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებოდით. მგზავრებს შორის ექიმი არ იყო და ცარიელი ხელებით მომიხდა ერთი შუახნის კაცისათვის გულის შეტევის მოხსნა, შემდეგ კი ამ კაცის დაძინება, მომიხდა აგრეთვე სხვა მგზავრებისთვის სისხლის დენის შეწყვეტა და კიდევ რამდენიმე მგზავრის ისტერიული მდგომარეობიდან გამოყვანა და დაძინება. ყოველივე ეს დროის მოკლე მონაკვეთში გავაკეთე, ცარიელი ხელებით. ამ ავიოლაინერში მგზავრების თვალწინ ჩემს მოქმედებას თვალყურს ადევნებდა იქ მყოფი პროფესორი გიორგი მირზიაშვილი, რომელმაც თბილისში ჩამოფრენის შემდეგ შემომთავაზა სამეცნიერო ექსპერიმენტებში მონაწილეობა. ამ საქმის კიდევ ერთი ენთუზიასტი აღმოჩნდა, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ყბა-სახის ქირურგიისა და სტომატოლოგიური ქირურგიის კათედრის გამგე პროფესორი ომარ ნემსაძე, დაახლოებით ოცდაათამდე ავადმყოფთან, ბატონ ომარ ნემსაძის ხელმძღვანელობით, ორი თვის მანძილზე ვიმუშავე. ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება ბატონი პროფესორის აზრი იმ ხანმოკლე მანძილზე გაწეული მოკრძალებული მუშაობის შესახებ:

1. ბიოენერგოთერაპია პანაცეა არ არის. მკაცრად უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენებები, როდის შეიძლება მისი გამოყენება.
2. მნიშვნელობა ენიჭება ავადმყოფთა ტიპებსაც. სხვადასხვა ტემპერამენტისა და ხასიათის პიროვნება სხვადასხვაგვარად იღებს და რეაგირებს ბიოველის ზემოქმედებაზე.
3. აუცილებელია ავადმყოფების კომპლექსური მკურნალობა, ე. ი. სამედიცინო საშუალებებით და ბიოველით ერთდროულად (ჩვენებების მიხედვით).
4. აუცილებელია ექიმისა და ბიოენერგოთერაპევტის ერთობლივი მუშაობა ურთიერთპატივისცემისა და კოლეგიალობის საფუძველზე. ბიოენერგოთერაპიით მკურნალობა უნდა დანიშნოს ექიმმა ბიოენერგოთერაპევტთან კონსულტაციის შემდეგ.
5. უნდა ამაღლდეს ბიოენერგოთერაპევტთა პროფესიული დონე (მედიცინის თვალსაზრისით), უნდა მოხდეს მათი დიპლომირება კომპეტენტური კომისიებისა და სახელმწიფო უწყებების მიერ.
6. უნდა შეიქმნას სპეციალური ფაკულტეტები როგორც სამედიცინო, ასევე ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, სადაც ჩარიცხავენ მხოლოდ ბიოენერგოფენომენით დაჯილდოებულ პირებს.

ჩვენს კლინიკაში ყბა-სახის ქირურგიული პროფილის ავადმყოფებთან ჩატარებული მუშაობის შედეგების მიხედვით ყურადსაღებია შემდეგი დადებითი მოვლენები:

1. ოპერაციის შემდგომი ჭრილობების შეხორცების დაჩქარება გართულებების გარეშე.
2. ოპერაციის შემდგომ პერიოდში ტკივილების მოხსნა ან შესუსტება.
3. დაჩირქებული ჭრილობების შეხორცების დაჩქარება.
4. ოპერაციისშემდგომი და ტრავმისშემდგომი შეშუპებების სწრაფი ჩაქრობა.
5. ტრავმული ოსტეომიელიტის რეაბილიტაციის დაჩქარება.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ გაბედული აზრი ბიოველის მედიცინაში დანერგვის შესახებ.

პირველ რიგში უნდა მოხდეს ყველა იმ დაქსაქსული პატარ-პატარა ლაბორატორიებისა თუ პირების დაახლოება და მათი გამოცდილების გაზიარება ერთ ცენტრალიზებულ სამეცნიერო დაწესებულებაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატის შენობის მეხუთე სართულზე მუშაობს ბიოკორექციის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ჟია დუმბაძე. ამ ლაბორატორიაში ბევრი ადამიანი მოდის, რომლებიც უჩივიან მომატებული ბიოენერგიით გამოწვეულ მოშლილობებს, ასეთი ლაბორატორიები გაცილებით მეტი უნდა იყოს, რაც დაეხმარება ადამიანებს მოიწესრიგონ დარღვეული ბიოენერგოსისტემა და შვება იგრძნონ.

●

გიორგი კენჭაძე საქართველოში ბიოენერგოკორექციის პატრიარქია. მას ისეთ დროს უხდებოდა მუშაობა, როცა დევნიდნენ და ავიწროებდნენ ასეთ მკურნალებს. თუმცა მაშინ ე. ი. ორმოცდაათიანი წლების დამლევს, სამოც და სამოცდაათიან წლებში მთელ საქართველოში მხოლოდ ორ თუ სამ ბიოენერგოკორექტორს იცნობდნენ, ერთ-ერთი მათგანი გიორგი კენჭაძე გახლდათ. ძნელი გზა გაიარა ბატონმა გიორგიმ, ვიდრე პარაფსიქოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი გახდებოდა, იგი თორმეტჯერ გაასამართლეს, მაგრამ ვერასდროს გამოუტანეს განაჩენი, შეიძლება ზოგს ეს სიგიჟედაც მოეჩვენოს, მაგრამ ის იმდენად დარწმუნებული იყო საკუთარ ძალებში, რომ დაჯერებულად შეაღო გალიის კარები თავზარდაცემულ დამსწრეთა თვალწინ, გარდა ამისა, გალიაში ვეფხვთან შესვლა იყო თავდაცვის ერთადერთი საშუალება, მას უნდა დაემტკიცებინა, რომ არც შარლატანია და არც ჩვეულებრივი ადამიანი, რომ მასში არის ისეთი, რაც ყველა მოკვდავს არ გააჩნია. გიორგი კენჭაძე არაერთხელ ყოფილა მიწვეული პარაფსიქოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად. იგი ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა, სადაც მიწვეული იყო სამუშაოდ მეუღლესთან ერთად, კონტრაქტი ითვალისწინებს ხელმეორე ვიზიტს ოკეანის გაღმა და მაისში ბატონი გიორგი ისევ გაემგზავრება.

კაცობრიობამ ოცდამეერთე საუკუნის მიჯნას მიაღწია და რამდენ სამწუხაროა, რომ ტექნიკის პროგრესმა ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა. რაც დრო გადის, მით უფრო უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა. კოსმოსში და დედამიწაზე ელვისებურად ვითარდება გაუთვალისწინებელი ენერგეტიკული პროცესები, ყოველივე ამას, როგორც ბარომეტრი, ისე გრძნობს და აღიქვამს ადამიანი. ჩვენ შევდივართ ახალი მომძლავრებული ბიოენერგოინფორმაციის მიღებისა და გადაცემის, ადამიანისა და გარემოს მიერ ამ სუბსტანციის გაცვლის უაღრესად პასუხსაგებ ფაზაში. ამიტომ ადამიანს ახლებური კუთხით დანახვა ჭირდება. დღეს უკვე საკმარისი არ არის ამა თუ იმ დაავადებების მკურნალობის პროცესში ნაცადი ტრადიციული, კლასიკური მეთოდების გამოყენება. საჭიროა ძიება, ახალი პროგრესული მეთოდების აღმოჩენა, სხვა უბედურებებთან ერთად ადამიანი პირისპირ დგას მოჭარბებული ბიოენერგეტიკული დაავადების საშიშროების წინაშე. ამიტომ დიდი შეცდომა მე ვიტყოდი, დანაშაული, იქნებოდა იმ გამოცდილების უარყოფა, რაც ამ წერილში შემოგთავაზეთ. დროა მოხდეს იმ მეცნიერთა, იმ ლაბორატორიათა დაახლოება-კონსოლიდაცია, რომლებიც დღემდე დაქსაქსულად იკვლევდნენ ბიოლოგიური ობიექტების ელექტრომაგნიტურ ველებს და ასეთი კონსოლიდაციის პირველი ნაბიჯი აღნიშნული კონფერენციის ჩატარება გახლდათ. მეცნიერული კვლევის სამი ათეული წლის მანძილზე ფასდაუდებელი განძი დაგროვდა, რასაც ახლა სისტემაში მოყვანა და ერის სამსახურში ჩაყენება ესაჭიროება.

ბიოენერგეტიკული „აფეთქება" უცილობელი ფაქტია, ბიოენერგეტიკული ანომალია ინტელექტს უქვეითებს ადამიანს, მწყობრიდან გამოყავს, არაშრომისუნარიანს ხდის. ბიოენერგეტიკული ანომალია კაცობრიობის ახალი მტერია და საჭიროა ზომების მიღება, საჭიროა ადამიანების განმუხტვის, ბიოკორექციის ცენტრების შექმნა. ეს კი მასშტაბური სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა და ერთეულ ენთუზიასტთა ძალებს აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე დასასწრები მოსაწვევი ბარათები გაეგზავნა საქართველოს უზენაეს საბჭოს, მეცნიერებათა აკადემიას და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ამ სამივე ორგანიზაციიდან სამეცნიერო კონფერენციას არავინ დასწრებია და თუ ასეთი დამოკიდებულება კვლავაც გაგრძელდა, ბიოენერგეტიკული ანომალიების კვლევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის მიმართ **სულ რაღაც ხუთიოდ წელიწადში მივიღებთ ასიათასობით, მილიონობით დაავადებულ ადამიანს ახალი საკაცობრიო სენით, ბიოენერგეტიკული სინდრომით.** ასე რომ უმჯობესია, რაც შეიძლება სწრაფად თავიდან მოვიცილოთ სკეპსისი და ვისაც ხელეწიფება, ბიოენერგომეცნიერების გვერდით დავდგეთ. უმოქმედობისთვის დრო არ რჩება, უმოქმედობას არ გვაპატიებენ ჩვენი მომავალი თაობები.

**თამაზ პეიშვილი.**

## საიუბილეო პრემიერა

# „ქეთო და კოტეს" ახალი სიცოცხლე

**შვიდ** ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის საოპერო სცენაზე დაიდგა პირველი კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე", რითაც მისმა შემქმნელმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კომპოზიტორმა ვიქტორ დოლიძემ ქართული მუსიკის ისტორიაში იმთავითვე სამართლიანად დაიმკვიდრა ქართული კომიკური ოპერის ფუძემდებლის სახელი. „ქეთო და კოტე" ამ ჟანრის ჭეშმარიტად კლასიკური ნიმუშია და დიდად პოპულარულიც.

პირველი წარმოდგენიდან დღემდე ეს ქმნილება მაყურებელს ხიბლავს ნათელი, მახვილგონივრული სიუჟეტით, მელოდიური მუსიკით, გამოკვეთილი სახეებით... სცენაზე ძველი თბილისის ცხოვრება წარმოდგება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამ ოპერით ქართულ მუსიკალურ თეატრში ხომ პირველად მოვიდა ყოფითი მუსიკის ინტონაციები. ქალაქური სიმღერები და რომანსები, ამავე დროს მის მუსიკალურ დრამატურგიაში გამოყენებულია ევროპული თეატრის ტრადიციული ფორმები — არიები, გუნდები, ცეკვები...

„ქეთო და კოტეს" ყოველი ახალი დადგმა ქართულ საოპერო სცენაზე დიდ ინტერესს იწვევს. ასე იყო ამჯერადაც — 30 მაისს პრემიერაზე თბილისის საოპერო თეატრში უამრავი მაყურებელი მოვიდა. ეს იყო საიუბილეო წარმოდგენა, რომელიც ვიქტორ დოლიძის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

ბედნიერი საღამო, — ასე აღიქვა მაისის ეს საღამო ქართველმა მაყურებელმა, რადგან იგი ჭეშმარიტად თეატრალური ზეიმის მოწმე გახდა. ამ ზეიმისათვის მთელი არსებით იღვაწა მთელმა სადადგმო ჯგუფმა — რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ, დირიჟორმა რევაზ ტაკიძემ, მხატვარმა თეიმურაზ მურვანიძემ, შემსრულებლებმა: ლიანა კალმახელიძემ, თემურ გუგუშვილმა, ანზორ შომახიამ, ომარ ხოფერიამ, თამარ გურგენიძემ, ელზა გარსევანიშვილმა, აია კანკიამ, ნუგზარ გელაშვილმა, გივი წულუკიძემ... საერთოდ, ყველა მონაწილემ.

ამ დადგმის შესახებ რეცენზიას უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ.

●

**სურათზე:** საიუბილეო სპექტაკლის ფინალი.

**იური მურადოვისა და ბონდო დადვაძის** ფოტო.

## საზღვარგარეთ

# ვინ მოკლა რაჯივ განდი?

**ტამილნადის** შტატის დედაქალაქ მადრასთან ახლოს მომხდარ ინდოეთის პრემიერის — რაჯივ განდის მკვლელობაში ყველაზე მეტად ადანაშაულებენ ე. წ. „ტამილთა განთავისუფლების ვეფხვების" ორგანიზაციას. თუ რამდენად რეალურია ეს ბრალდება, გამოძიება გაარკვევს, მაგრამ საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ექსპერტების ყურადღება ტამილთა პრობლემამ კვლავ მიიპყრო. ეს ხალხი, ინდოეთის სამხრეთის გარდა, ცხოვრობენ შრილანკაში, მალაიზიაში, ბირმაში, სინგაპურში და სხვა ქვეყნებში. მათი რაოდენობა მსოფლიოში 50 მილიონს აჭარბებს. უმრავლესობა ინდუისტურ რელიგიას აღიარებს, ნაწილი — მუსულმანია. ტამილები ანთროპოლოგიურად სამხრეთ ინდურ რასას განეკუთვნებიან. მათი წარმოშობა ინდოეთის უძველეს მოსახლეობას დრავიდებს უკავშირდება. ტამილური ენა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ენაა. მათ უმდიდრესი ლიტერატურა აქვთ, რომელიც დასაწყისს ქრისტეს დაბადებამდე I ათასწლეულში იღებს. ჯერ კიდევ უძველეს დროში, მათ 3 აკადემია ჰქონდათ, რომელშიც ათასობით პოეტი იყო გაერთიანებული. ტამილთა უძველესი სახელმწიფოები იყო ჩოლა და ჩერა პანდია. მე-14 საუკუნიდან „ტამილთა მიწა" — ტამილნადი ვიჯაიანაგარის იმპერიის ნაწილი გახდა, რომელიც მე-17 საუკუნეში სამთავროებად დაიშალა. დღეს, ტამილნადი ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული და მაღალგანვითარებული შტატია ბენგალიის ყურის სანაპიროზე.



როგორც აღვნიშნეთ, ტამილთა ერთი ნაწილი შრი ლანკაზე (1972 წლამდე კუნძული ცეილონი) ცხოვრობს, რაც 16 მილიონიანი მოსახლეობის დაახლოებით 21 პროცენტს შეადგენს. 70 პროცენტი სინჰალელებია, რომლებსაც კუნძულზე უძველეს დროში ორი სახელმწიფო კოტე და კანდუ ჰქონდათ. კუნძულის ჩრდილოეთით იყო ტამილთა სახელმწიფო ჯაფნა. სინჰალელები დრავიდების შემდგომი რასის, არიელების ჩამომავლები არიან და ბუდისტურ რელიგიას აღიარებენ. ტამილებისა და სინჰალელების რელიგიურ-ეთნიკურ განსხვავებას სპეციალისტები მათ შორის განხეთქილების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ.

ცეილონზე სხვადასხვა ვადით პორტუგალიელები, ჰოლანდიელები და ინგლისელები ბატონობდნენ. 1948 წელს, ცეილონმა ინგლისის დომინიონის სტატუსი მიიღო. 1955 წლიდან კი „გაეროს" წევრია. ქვეყანას სათავეში სოლომონ ბანდარანაიკე ჩაუდგა, ხოლო მისი მოკვლის მერე იგი მისმა ქვრივმა სირიმავო ბანდარანაიკემ შეცვალა. 1972 წლიდან ცეილონს შრი ლანკა ეწოდა. 1978 წლიდან კი განვითარების სოციალისტურ გზას დაადგა, რამაც განსაკუთრებულად გაამწვავა ურთიერთობა ორ ხალხს შორის. შეიქმნა ტამილთა განთავისუფლების ფრონტი, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძვის. ასეთ ვითარებაში, შრი-ლანკის ხელისუფლებისა და რაჯივ განდის ერთობლივი გადაწყვეტილებით კუნძულზე შეიყვანეს ინდოეთის 55 ათასიანი სამხედრო კორპუსი.

ინდოეთის ჯარების შრი ლანკაში შესვლას მოსახლეობაში არაერთაზროვანი გამოძახილი მოჰყვა. ეროვნულად განწყობილი სინჰალელები მთავრობას „ინდოეთის იმპერიალიზმთან" გარიგებაში სდებდნენ ბრალს. ბრძოლას აგრძელებდნენ „ტამილის განთავისუფლების" ვეფხვებიც" 3 წლის შემდეგ, ინდოეთის კონტინგენტმა დატოვა შრი ლანკა. მან ბრძოლებში 1200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

ინდოეთის ჯარების კუნძულზე მოქმედებამ სინჰალელი და ტამილელი მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. აი, როგორ შეფასებას აძლევს ინდოეთის არმიის მოქმედებას „ტამილთა განთავისუფლების ვეფხვების" ხელმძღვანელი ვილუპილაი ფრაბჰაკარანი ჟურნალ „ტაიმსის" კორესპონდენტს ანიტა პრატართან საუბარში იგი ორნახევარი წელი ჯუნგლებში იმყოფებოდა და ებრძოდა ინდოელებს, მისი პასუხები გარკვეულად ეხმაურება სამაჩაბლოში კრემლის მიერ ინსპირირებულ კონფლიქტს.

**— რატომ დაუპირისპირდით ინდოეთს?**

— ინდოეთს ჰქონდა თავისი ინტერესები შრი-ლანკაში ტამილთა უშიშროების წინააღმდეგ. ფაქტია, რომ იგი საკუთარი ინტერესების დასაცავად მოვიდა და არ უნდა ჩვენი სურვილების გათვალისწინება, ინდოეთი აუარესებს ეთნიკურ ვითარებას შრი ლანკაში.

**— მაგრამ, ინდოეთს ხომ შრი ლანკას გაერთიანება უნდა?**

ინდოეთი იყენებს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, რომ იგი შრი ლანკას პროტექტორატია და ტამილების წინააღმდეგ ომობს.

**— ხომ ცხადია, რომ რაც არ უნდა მამაცურად მოიქცეთ, ვერ დაუპირისპირებთ მსოფლიოს მე-3 არმიას?**

— მე მათ ვიეტნამის მაგალითი მოვაგონე. პატარა ერებს შეუძლიათ ბრძოლა სუპერერებთან, თუ ზუსტად განსაზღვრავენ მიზნებს და მას მთელი არსებით მიეცემიან. როდესაც მე გადავწყვიტე ბრძოლა, სიკვდილი უცხო გახდა ჩემთვის. ჩემმა ხალხმა არ იცის რა არის შიშისგან განადგურება.

**— რა არის ინდოეთის არმიის მთავარი სიძლიერე და სისუსტე?**

— მათი სიძლიერეც და სისუსტეც მათი მრავალრიცხოვნებაა. თუმცა, ეს ჩვენთვის გარკვეულ სირთულეებს ქმნის, ზღუდავს ჩვენს მობილურობას, მაგრამ ისინიც ბევრი შემთხვევითობისაგან იტანჯებიან. აგრეთვე, ხარჯავენ ბევრ დროს, ენერგიას და ფულს, რათა მსოფლიო საზოგადოებიდან მხარდაჭერა მიიღონ. მათი ძალიან დიდი სისუსტე ისაა, რომ არა აქვთ თავიანთი მოქმედების გასამართლებელი მოტივაცია. ჯარისკაცებმა არ იციან რისთვის იბრძვიან.

**— ინდოელებთან ბრძოლის დროს სიცოცხლეს გამოესალმა 6 ათასამდე ტამილელი მოქალაქე.**

— დიახ. ჩვენ ვერ უზრუნველვყავით ჩვენი ხალხის სიმშვიდე და დამოუკიდებლობა.

**— ახლა, როდესაც ინდოეთის ჯარებმა შრი ლანკა დატოვეს, ბევრი შიშობს, რომ კონფრონტაცია სინჰალელებთან — თქვენს ისტორიულ მტრებთან გაგრძელდება.**

— ამ ხალხებს ხანგრძლივი მრავალსაუკუნეობრივი სახელმწიფოებრივი ისტორია ჰქონდათ, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩვენ, სხვების ჩარევის გარეშე შევძლებთ მორიგებას. ვფიქრობ, რომ მშვიდობა დამყარდება.

ვილუპილაი ფრაბჰაკარანის პასუხებიდან ნათლად ჩანს ინდოეთის ხელისუფლებისა და არმიის არაკონსტრუქციული როლი შრი ლანკის ეთნიკური კონფლიქტის გადაჭრაში. მათი მოქმედება ტიპიური იმპერიული აქციაა. ტამილებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა სურთ, სინჰალელები წინააღმდეგი არიან, თუმცა ორ ხალხს შორის არსებობს შეხების წერტილები. აქედან გამომდინარე, ბევრი ინდოელის საყვარელი პიროვნების — რაჯივ განდის მკვლელობა „ვეფხვების" ხელით ნაკლებ რეალური ჩანს, რადგან ეს აქცია და მისგან გამომდინარე შედეგები ტამილთა მისწრაფების რეალიზაციას ძალიან შეუშლის ხელს. თუმცა, ისეთ მრავალფეროვან და საიდუმლოებით მოცულ ქვეყანაში როგორიც ინდოეთია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**გურამ სიხარულიძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი.**

# „ამერიკის ხმა" 26 მაისი 1991 წელი

**რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" დირექტორის რიჩარდ კარლსონის საგანგებო მიმართვა ქართველი რადიომსმენელებისადმი**

**40 წლის** წინათ, დღევანდელ დღეს, 1918 წელს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის დღეს, „ამერიკის ხმამ" გადასცა პირველი რადიოპროგრამა ქართულ ენაზე და უკვე ოთხი ათეული წელია ეს გადაცემები შეუწყვეტლად გრძელდება. წლების მანძილზე ამ ქართულმა პროგრამამ მრავალი ერთგული მსმენელი შეიძინა, მსმენელი, რომელიც დიდად აფასებს „ამერიკის ხმის" გადაცემებს მშობლიურ ენაზე. „ამერიკის ხმის" ტრადიციის შესაბამისად ეს რადიოპროგრამა ზუსტი, ობიექტური ინფორმაციის სანდო, კეთილი და საიმედო წყაროა. ქართველ მსმენელებს შეუძლიათ გაეცნონ ამერიკელ ქართველ მეცნიერთა, ოფიციალურ პირთა და კერძო მოქალაქეთა მართებულ შეხედულებებს. თქვენი დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს მე მოგესალმებით და გისურვებთ დიდ წარმატებებს. 26 მაისი ქართული პროგრამის 40 წლისთავიც არის. 40 წლის წინათ ამ დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა აჩესონმა ქართველ ხალხს გაუგზავნა თავისი მისალმება, რომელიც ამ პირველი პროგრამით იქნა გადაცემული. დღეს, როდესაც მე მოგესალმებით, მსოფლიო წყობა ძალზედ განსხვავდება აჩესონის დროინდელისაგან, მაგრამ მისი მისალმების ზოგიერთ მხარეს ახლაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. აი რა თქვა მან: „თქვენ ხშირად ყოფილხართ დაპყრობილი, მაგრამ არასოდეს არ ყოფილხართ დამონებული. საუკუნეების მანძილზე თქვენ შეძელით შეგენარჩუნებინათ თქვენი ეროვნული სახე და არასოდეს არ დაგიკარგავთ სურვილი თქვენი ადამიანური უფლებების დაცვისა. ჩვენ, ამერიკელები უდიდესი პატივისცემით ვართ გამსჭვალული თქვენი, ქართველების გაუტეხელი სულის მიმართ. ჩვენი ქვეყანა შეიქმნა იმ მტკიცე რწმენის საფუძველზე, რომ ყოველ ერს აქვს უფლება იყოს თავისუფალი და ბედნიერი. უმაღლესი მიზანი ამერიკელი ხალხისა და მისი მთავრობისა არის მშვიდობიანი სამყარო, რომელშიც არ იქნებიან ძლიერნი და სუსტნი, არ იქნებიან ბატონები და ყმები, არამედ იქნებიან ადამიანები, ქალები და კაცები, რომლებსაც შეეძლებათ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება, თანამშრომლობა გაჭირვებისა და შიშის გარეშე და ექნებათ სრული უფლება ემსახურონ ღმერთს ისე, როგორც მათ სურთ. ეს არის ჩვენი გაგება და ჩვენი ხილვა მომავლისა. ჩვენ გეპატიჟებით, რომ თქვენც გაიზიაროთ იგი. გიგზავნით თქვენ, ქართველ ხალხს ამერიკელი ხალხის გულწრფელ მეგობრულ სალამს". აი, ეს მისალმება გადაიცა 40 წლის წინათ, დღევანდელ დღეს. მე ძალიან მინდოდა დღეს შემეხსენებინა ქართველი ერისათვის აჩესონის ეს სიტყვები.

# რამდენიმე სტრიქონით

**ხორვატიის** დედაქალაქ ზაგრების ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ხორვატიის ეროვნული გვარდიის შექმნისადმი მიძღვნილი საზეიმო აღლუმი. ანალოგიური ღონისძიება ჩატარდა სლოვენიაშიც.

**საბჭოთა** კავშირის გენერალურმა პროკურორმა ნიკოლოზ ტრუბინმა თანხმობა განაცხადა, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე რიგის „ომონის" მიმართ, რომელსაც ბრალად ედება რესპუბლიკის სასაზღვრო საბაჟო პუნქტების დარბევა.

**ლატვიის** პარლამენტში და მინისტრთა საბჭოში უცნობმა პირმა დარეკა და განაცხადა, რომ შენობები დანაღმულია. მოეწყო თანამშრომელთა სასწრაფო ევაკუაცია. ცნობა ყალბი აღმოჩნდა. ვარაუდობენ, რომ ეს აქცია ე.წ. „ლატვიის ეროვნული ხსნის კომიტეტის" მორიგი „ოინია".

**საქმეში** ჩახედული სპეციალისტების აზრით „ლატვიის ეროვნული ხსნის კომიტეტი" ივლისში შეეცდება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. ამ დროს პარლამენტის დეპუტატები არდადეგებზე აპირებენ წასვლას.

**ბალტიისპირეთის** რესპუბლიკების წარმომადგენლები „საბაჟოთა ომის" გამო ვილნიუსში შეიკრიბნენ და განაცხადეს, რომ „ომონის" მოქმედებას საერთაშორისო შეფასება უნდა მიეცეს და მოუწოდეს დემოკრატიულ ქვეყნებს შეუწყვიტონ ეკონომიკური დახმარება საბჭოთა კავშირს.

**შეერთებული** შტატების ოფიციალურ წარმომადგენელთა აზრით ეკონომიკის გაუმჯობესების საბჭოური გეგმა, რომელიც ამხანაგმა პრიმაკოვმა გააცნო ამერიკის ადმინისტრაციას, არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. მათ თქვეს, რომ სანამ მოსკოვი არ შეამცირებს ხარჯებს შეიარაღებაზე, არ შეუწყვეტავს სამხედრო დახმარებას კუბას და რბილად არ მოიქცევა ბალტიისპირეთში, სესხს არ მივცემთო.

**თეთრი** სახლის წარმომადგენლის თქმით ჯერ კიდევ შესაძლებელია მოსკოვთან უმაღლესი დონის შეხვედრა და ყველაფერი ბეიკერ-ბესმერტნიხის შეხვედრის შემდეგ გაირკვევაო.

**ანგოლაში** 16-წლიანი სამოქალაქო ომის შეწყვეტა რეალური გახდა. უახლოეს დროში ამის თაობაზე შეთანხმდებიან ბესმერტნიხი, ბეიკერი, „გაეროს" გენერალური მდივანი, ანგოლელ აჯანყებულებისა და უნიტას წარმომადგენლები.

**ბერძნული** ტერორისტული ორგანიზაციის „17 ნოემბრის" წევრებმა ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა ესროლეს გერმანული ფირმის ფაბრიკას, რომელიც საბერძნეთის ქალაქ ატლანდიში მდებარეობს. მსხვერპლის შესახებ არ იუწყებიან.

**როგორც** ცნობილია, მალე ლონდონში უნდა გაიმართოს 7 ყველაზე განვითარებული ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრა, საბჭოთა პრეზიდენტი გორბაჩოვი ცდილობს მასზე მოხვედრას, რათა 100 მილიარდი დოლარის სესხი დასტყუოს „დასავლეთს" საბჭოთა იმპერიის მოდერნიზაციისათვის. ამასთან დაკავშირებით კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის პრემიერი ტოშიკი კაიფუ გორბაჩოვის მიწვევის წინააღმდეგია.

**ინდოეთის** კომპარტიის ერთ-ერთმა ფრაქციულმა სამხედრო ორგანიზაციამ ააფეთქა ინდოეთის სპეციალური დანიშნულების პოლიციის ავტომობილი. 7 ადამიანი დაიღუპა. უფრო ადრე ინდოელმა კომუნისტებმა ხანძარი მოაწყეს სამგზავრო მატარებელში, რომელსაც 20 ადამიანი ემსხვერპლა.

**პრაღაში** ვიზიტად მყოფმა უნგრეთის მთავრობის ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის საკითხთა სახელმწიფო მდივანმა გეზ ენცემა გაილაშქრა სახელმწიფო საზღვრების გადასინჯვის ცდების წინააღმდეგ.

**ტეხასის** შტატში ჩქაროსნული სარკინიგზო მიმოსვლის მატარებელი ფრანგული იქნება. ამ მატარებელმა აჯობა გერმანული კონცერნის „სიმენსის" მატარებლებს. ფრანგული ექსპრესი, რომელიც საათში 308 კილომეტრს ანვითარებს, ერთმანეთთან დააკავშირებს დალასს, ჰიუსტონსა და სან-ანტონიოს.

**ეთიოპიის** ყოფილმა პრეზიდენტმა მენგისტუ ჰაილე მარიამმა პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა ზიმბაბვეს მთავრობას. ქვეყნის დედაქალაქ ჰარარეში იგი 21 მაისს ჩავიდა და ახლა საკუთარ ფერმაში იმყოფება ნორტონის რაიონში.

**წელს** ივნისში საექსპლუატაციოდ გადაეცემა ტრანსკონტინენტური რკინიგზის მორიგი მონაკვეთი, რომელსაც პირობითად „ევრაზიის ხიდი" ეწოდა. მისი სიგრძე 11 ათას კილომეტრამდეა. იგი იწყება ჩინეთის ზღვისპირა ქალაქ ლანიუნგამში და მთავრდება ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში.

**გაზეთ** „ლოს ანჯელეს ტაიმსის" აზრით საბჭოთა კავშირს დაუდგა გადამწყვეტი მომენტი: იგი ან განახლდება, ან დაიშლება, ან კარდინალურად სხვა ეკონომიკა იქნება, ან ქვეყანა ჩაეთრევა სრულ ქაოსში, ან პლურალიზმი გაიმარჯვებს, ან პოლიტიკური დამბლა მოხდება, ან გარდაქმნა ან საჯაროობა მოელის საბჭოთა ქვეყანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გამოხმაურება

# არა მხოლოდ გრიგოლ რობაქიძეზე

**მე** თვითონ წინააღმდეგი ვარ ამ ბოლო დროს ქართულ პრესაში გავრცელებული ჟანრისა, რომელსაც პასუხობანას დავარქმევდი. ამგვარი კამათი უმთავრესად თვით მოკამათეებს აინტერესებს, რადგან საწყისი მოსაზრებები, რომელმაც ესა თუ ის ეპისტოლარული აზრთა ჭიდილი გამოიწვია, მკითხველს, უმეტეს შემთხვევაში, დავიწყებულიც აქვს, მით უმეტეს, როცა გაზეთში გამოქვეყნებულ წერილზეა ლაპარაკი, რადგან ამ ინფორმაციული „მედიუმის“ სტრუქტურა განსაკუთრებით არის გაპირობებული დღევანდელი დღით, დღევანდელი დღის „ცხელ-ცხელი“ ამბებით. ამჟამად, საქართველოში ქართველი მკითხველისთვის ყოველდღიური ამბები ცხელი კი არა, ჭეშმარიტად მდუღარე და დამფერფლავია. ერთი წლის წინ დაბეჭდილი წერილი ვის ახსომდება, როდესაც ერთი კვირის წინანდელი ინფორმაცია იჩრდილება დღეს მიღებული ცნობებით.

მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტე ეს წერილი დამეწერა, ვინაიდან ჩემი უკვე ძველი ოპონენტის, თენგიზ ჩხაიძის სტატიამ, რომლის სათაურია „პასუხი დოდონა კიზირიას“ (ჟურნალი „მნათობი“, 1991 წ. 1, გვ. 118-129), დამაინტერესა ავტორის არგუმენტაციის იმ მხარემ, რომელიც რობაქიძის რომანსაც შორდება და ლიტერატურასაც. იგი ეხება საკითხებს, რომლებიც კარგა ხანია მაფიქრებს და რომლებზედაც ჩემი აზრი მინდა გამოვთქვა ვინმესთან სპეციალური კამათის გარეშე. ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ზემოთ აღნიშნულ სტატიას გამოვეხმაურო და ბატონი თენგიზის შენიშვნები მხოლოდ საწყის წერტილად გამოვიყენო.

ჩემი საუბრის თემა ძირითადად ორ საკითხს შეეხება. ერთია კამათის და კერძოდ, ლიტერატურის თემებზე კამათის გარკვეული მეთოდები და მეორე... პირობითად მას დავარქმევ „ქართულ ფენომენს“, რომელზედაც ჩემი ოპონენტი განსაკუთრებული გზნებით მიმითითებს.

1. ჩემი ამერიკელი კოლეგები ხშირად მეკითხებიან, რატომ არის, რომ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული სტუმრები უსათუოდ ჭკუის სწავლებით იწყებენ თავიანთ საუბარს. კერძო მეგობრული კამათია ეს თუ ოფიციალური მოხსენება, უსათუოდ უნდა რჩევა მოგვცენ, დაგვარიგონ, გვირჩიონ და საითკენღაც მოგვიწოდონ. ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ მეც ძალიან ხშირად შემიმჩნევია ეს თვისება, რომელიც ასე დამახასიათებელია „ჰომო სოვიეტიკუს“-ის მენტალობისათვის. ამას არც სარკაზმით ვამბობ და არც ირონიით. ვამბობ გულისტკივილით, რადგან ეს მეც მეხება და თანაც ძალიან კარგად მესმის, რამ შექმნა ეს სამწუხარო ფენომენი. ეს შედეგია სამოცდაათი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ კანონად ქცეული იდეისა, რომ ადამიანი უნდა „აღიზარდოს“ და „გარდაიქმნას“, მას დაბადებიდან სიკვდილამდე უნდა „ასწავლონ“, „მიუთითონ“ და „უხელმძღვანელონ“. არა თუ ცხოვრების ყოველი მხარე, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სახე დარაზმული იყო ამ „საგანმანათლებლო“ მისიის შესასრულებლად და უმაღლესი სასჯელივით სისრულეში მოსაყვანად. ამ საყოველთაო აღზრდა-განათლების პრინციპი კი დაფუძნებული იყო იმ ურყევ რწმენაზე, რომ ყველგან და ყველაფერში არსებობს „გენერალური ხაზი“ ანუ ერთი სწორი იდეოლოგია, ერთი სწორი მიზანი, ერთი სწორი აზრი, ერთი სწორი მიდგომა და ასე შემდეგ. ეს პრინციპი ისეა ადამიანის სისხლსა და ხორცში გამჯდარი და ამ სისტემის მეთოდები ისე საფუძვლიანადაა შეთვისებული, რომ ამა თუ იმ საგანზე შეხედულების გამოსახატავად დღესაც სწორედ ყველაზე ხშირად ეს მეთოდები გამოიყენება ხოლმე. ლიტერატურისა და ენის საკითხებში ხომ მითუმეტეს! მას, ვისი აზრიც არ მოგვწონს, ვისაც არ ვეთანხმებით, უსათუოდ ჭკუა უნდა ვასწავლოთ, ავუხსნათ და სწორ გზაზე დავაყენოთ. სხვაგვარი კამათი არ გვესმის.

ამ ბოლო წლებში საქართველოში მრავლად გამოვლინდა სწავლების ნიჭით დაჯილდოებული თვითნაბადი ტალანტები. თქვენც, ბატონო თენგიზ, დაუზარლად მიმითითებთ ჩემს წერილში „გაბნეულ“ სუსტ არგუმენტაციაზე, უმნიშვნელო „ცალკეულ მოსაზრებებზე“, ბუნდოვან „მიხვედრებსა“ და „მიგნებებზე“, რომლებიც მე, თქვენის აზრით, ვერ განავითარე და „მიგნება მიგნებად დარჩა“. შენიშვნებსაც უხვად მაძლევთ და რჩევა-დარიგებასაც არ მაკლებთ. ზრდილობიანი საუბრის ფორმულები — „ნება მიბოძეთ“, „გთხოვთ“, „მიპასუხეთ, თუ შეიძლება“ — არ ცვლის თქვენი წერილის იმ ლეიტმოტივს, რომლის მთავარი აზრია, რომ თქვენ ხართ სწორი, მე არა ვარ სწორი, თქვენ გესმით, მე არ მესმის, თქვენ იცით, მე არ ვიცი და ასე შემდეგ.

წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ისეთი რწმენა, რომ სულიერი მოთხოვნილებებისა და კულტურის მიხედვით საშუალო ამერიკელი მსოფლიოს თითქმის ნებისმიერი ქვეყნის საშუალო მოქალაქეზე უფრო დაბლა დგას. მაგრამ როდესაც საქმე ეხება საზოგადოების ცივილურ კანონებს, ამერიკელს მსოფლიოში ვერავინ შეედრება. მისთვის ის დებულება, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება საკუთარი აზრი გამოსთქვას, საკუთარი არჩევანი გააკეთოს და საკუთარი გადაწყვეტილება მიიღოს არის აბსოლუტური და შეუვალი კანონი. „თქვენ ასე ფიქრობთ, მე კი ასე“ — აი ამერიკელისათვის მისაღები პროფესიული კამათის ერთადერთი ფორმულა. კარგი იქნებოდა, ჩვენი სულიერი კულტურის დაუკნინებლად ეს ფორმულა ჩვენც მიგველო სახელმძღვანელოდ.

ავიღოთ, მაგალითად, ერთი თქვენი რჩევა-დარიგება, რომელიც ჩემი სტატიის სათაურს ეხება — „გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის კონტექსტში“. ეს სათაური თქვენ რატომღაც არ მიგაჩნიათ მართებულად და წერთ: „რატომ „კონტექსტში“ და არა „მიმართებაში?“ თქვენი წერილის შინაარსს, თქვენს მიერ იქ განვითარებულ აზრებს უფრო ეს სათაური შეეფერება: „გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, რუსულ-ევროპულ სიმბოლიზმთან მიმართებაში“.

ბატონო თენგიზ, შეიძლება სხვის მიერ გამოთქმულ აზრს არ დაეთანხმოთ, მაგრამ ადამიანს საკუთარი სტატიისათვის სათაურის არჩევის უფლება მაინც უნდა დაუტოვოთ. გამოგიტყდებით, მეც გამაკვირვა თქვენი წერილის სათაურმა — „პასუხი დოდონა კიზირიას“. მკითხველს, რომელიც ჟურნალს გადაშლის და სარჩევს გადახედავს, ეს სათაური საერთოდ ვერაფერს ეტყვის თქვენი წერილის შინაარსის შესახებ. სულაც არ არის მნიშვნელოვანი იქ მოტანილი არგუმენტები დოდონა კიზირიას ეხება, პეტრეს თუ პავლეს. მნიშვნელოვანია ის, რომ თქვენ გარკვეული აზრი „გველის პერანგის“ შესახებ არასწორად მიგაჩნიათ და მას უპირისპირებთ თქვენს აზრს, თქვენი შეხედულებით უფრო სწორსა და მართებულს. მე პირადად ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნებოდა დაგერქმიათ „ისევ „გველის პერანგის“ შესახებ“, ან „მითოპოეტური ალუზიები „გველის პერანგში“, ან კიდევ სხვა მსგავსი რამ, რაც რომანის ან მისი ავტორის სახელს მაინც აღნიშნავდა. თქვენ კი ჩემი სახელი წამოსწიეთ წინ, მას გაუსვით ხაზი. ასეთი პატივი ნამდვილად არ დამიმსახურებია და არ ვიცი, რატომ დაგჭირდათ ეს, მაგრამ თქვენთვის გასაგები მიზეზების გამო ამ სათაურის მიცემა მოინდომეთ. ეგებ თქვენთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო თვით რომანზე ლაპარაკი, რამდენადაც თქვენს ოპონენტთან (ესე იგი, ჩემთან) კამათი, თქვენი ოპონენტის არგუმენტაციის უარყოფა. კარგი და პატიოსანი. თუ ასე გსურთ, ასე იყოს. ეს თქვენი საქმეა, თქვენ სრული უფლება გაქვთ ამისა და მე აზრად არ მომივა, სათაურის შეცვლა გირჩიოთ. ამასაც იმიტომ ვწერ, რომ თვით კამათის მეთოდსა და პრინციპს მივაქციოთ ყურადღება.

ახლა მეორე რჩევა-დარიგება, რომელსაც თქვენ მაძლევთ. თქვენ თვლით, რომ ჩემს წერილში წამოყენებული მოსაზრებები „საკმარისი არ არის გრ. რობაქიძის სიმბოლისტობის დასამტკიცებლად“. შემდეგ ამატებთ, „მესმის, ეს ფრიად რთული და სათუთი საკითხია, რასაც საგულდაგულო შესწავლა უნდა. თუ აქ შენიშვნას გამოვთქვამ, უფრო იმიტომ, ერთგან ამხელთ სურვილს, გრ. რობაქიძის შემოქმედებაზე მონოგრაფიის დაწერას ვაპირებო“.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ბატონო თენგიზ, თქვენ მირჩევთ, რომ ვიდრე ასეთ სერიოზულ პროექტზე აღვმართავდე ხელს, მე ის საგულდაგულოდ უნდა შევისწავლო. გეთანხმებით, რომ, ადამიანი სამარის კარამდე უნდა სწავლობდეს, მაგრამ იმასაც მოგახსენებთ, რომ მე ოცი წელიწადია, ამ საგანს შევისწავლი, ვინაიდან ზუსტად ოცი წელიწადია ევროპულ-რუსულ სიმბოლისტურ ლიტერატურას ვასწავლი ამერიკის ერთ-ერთ ცნობილ უნივერსიტეტში. ოცი წელიწადია, რაც ყოველწლიურად ამ თემაზე სამ თუ ოთხ ენაზე დაწერილ სტატიებსა და მონოგრაფიებს ვკითხულობ, სემინარებს ვატარებ და სემინარებში მონაწილეობას ვღებულობ. შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიული ჟანრის შესახებ, მაგალითად, ორ სიტყვას ვერ ვიტყვი კომპეტენტურად. ეს საკითხი არასოდეს არ შემისწავლია სპეციალურად, მაგრამ თუ აქამდე სიმბოლიზმში ვერ ვერკვევი, ან ნამდვილად ძალიან ცუდად ყოფილა ჩემი საქმე, ან...

ან ეგებ თქვენ არა ხართ მთლად საქმის კურსში, ბატონო თენგიზ? დასაშვებად არ მიგაჩნიათ ამგვარი რამ? მართალი გითხრათ, როცა ჩემს მიერ გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრების (თუნდაც ხმლის სიმბოლიკის) საწინააღმდეგო თქვენი არგუმენტაცია წავიკითხე, „ვიგრძენი, რომ „ამაოდ დავშვერ“. და რომ „გველის პერანგზე“ თქვენთან კამათის გაგრძელება დიდი უგუნურება იქნებოდა ჩემს მხრივ. ამაში განსაკუთრებით დამარწმუნა თქვენი სტატიის დასასრულს სუმირებულმა ერთმა თქვენმა მოსაზრებამ, სადაც მიხსნით შემდეგს: „სიმბოლო... გაცილებით უფრო ხნიერია, ვიდრე ლიტერატურული მიმდინარეობა „სიმბოლიზმი“. იგივე ითქმის მისტიკაზეც. მაგალითად, დანტეს პოემა სიმბოლოებით სავსე და მისტიკით გამსჭვალულია, მაგრამ „ღვთაებრივი კომედია“ ამის გამო არავის გამოუცხადებია სიმბოლისტურ ქმნილებად“.

ამ შენიშვნიდან ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ თქვენ არ ანსხვავებთ სიმბოლოს ამ ტერმინის ძალიან ფართო, ზოგად ლიტერატურული გაგებით იმ კონცეფციისაგან, როგორადაც სიმბოლო არის ჩამოყალიბებული ლიტერატურის ისტორიაში სიმბოლიზმად წოდებული მიმდინარეობის მიერ. მგონებ, საერთოდ რელიგიური მისტიციზმი და სიმბოლისტური მისტიკური მსოფლმხედველობაც არ უნდა გეგონოთ მაინცდამაინც განსხვავებული, რახან ამბობთ დანტეც ხომ მისტიკით გამსჭვალულიაო. ჩემთვის კი ამ ორ ცნებას „შუა უძევს დიდი ზღვარი“. ჰოდა, თუ ეს ასეა, ბატონო თენგიზ, ნამდვილად ჯობს ამ საკითხზე ერთმანეთთან კამათში დრო არ დავკარგოთ. ისე კი, თუ დაგაინტერესებთ, რა ზღვარი მაქვს მხედველობაში, ეგებ როდისმე გადახედოთ შარლ ბოდლერის ერთ სონეტს, სათაურად „Correspondacce“ ქართულად, ალბათ, „შესატყვისობანი“ იქნება და მგონი, თარგმნილიც უნდა იყოს. ამერიკისა და ევროპის იმ სპეციალისტებს, რომლებსაც, ჩემსავით კი არა, უფრო „საგულდაგულოდ შესწავლილი“ აქვთ ეს „სათუთი საკითხი“, მიაჩნიათ, რომ ევროპულ-რუსული სიმბოლიზმი ამ სონეტით დაიწყო. მასში ემბრიონალურად კოდირებულია ლიტერატურული სიმბოლიზმის მსოფლშეგრძნების არის, რომელსაც მე რობაქიძის რომანშიც ვხედავ. ეგებ ისინი სცდებიან, რასაკვირველია, და მეც მათ ხმას ვარ აყოლილი. მათთვის ხომ რჩევა-დარიგების მიცემი არავინ არის.

კიდევ სხვა შენიშვნა ეხება იმას, რომ არ არის მართებული მოვაქციოთ გრ. რობაქიძე „ერთი რომელიმე „იზმის“ ფარგლებში, თუნდაც ეს იყოს ისეთი პრესტიჟული ლიტერატურული მიმდინარეობა, როგორიც სიმბოლიზმია“. გამოგიტყდებით, არ მესმის, რატომ არის სიმბოლიზმი „პრესტიჟული მიმდინარეობა“ (რომანტიზმი არ არის პრესტიჟული?), ან რაში მდგომარეობს მისი „პრესტიჟულობა“, მაგრამ სავსებით გეთანხმებით, რომ ვერავითარი „იზმი“ ვერ გამოხატავს ამა თუ იმ მწერლის გენიას, მისი ნიჭისა და მისი ქმნილების უნიკალურობას. მიუხედავად ამისა, მოგეხსენებათ, ამგვარ „იზმებს“ ლიტერატურის ისტორიასა და თეორიაში ყოველთვის ვხმარობთ, ვინაიდან ისინი ზოგადად მაინც მიგვინიშნებენ ამა თუ იმ ავტორის მსოფლმხედველობაზე, ესთეტიკაზე, სტილის სპეციფიკაზე და სხვა ამგვარი. თუ თქვენ ეს არ მოგწონთ, ნურც იხმართ, მაგრამ რახან მე ვთვლი, რომ რობაქიძე სიმბოლისტია, ეს „იზმი“ ჩემი აზრის გამოსახატავად მჭირდება.

არ მინდა, მკითხველს ჩვენი წარსული კამათის გახსენებით თავი მოვაბეზრო, მაგრამ ვუპასუხებ თქვენს ერთ სპეციფიურ შენიშვნას, რომელიც ჩემთვის დასმული კონკრეტული კითხვის სახითაა ფორმულირებული. უარყოფთ რა „გველის პერანგში“ ოიდიპოსის მოტივის არსებობას, თქვენ ამგვარად მომმართავთ: „ერთი მიბრძანეთ, შეიძლება თუ არა პერსონაჟი, რომელიც თავგადადებით ეძიებს და ბოლოს პოულობს მამას, შეერწყმის მას, იმავ დროს გვევლინებოდეს მამისმკვლელად? გთხოვთ ამ კითხვაზე მიპასუხოთ პირდაპირ და გულწრფელად“.

გპასუხობთ პირდაპირ და გულწრფელად — შეიძლება. ასევე გულწრფელად გეტყვით, რომ რობაქიძეზე ვლაპარაკებთ თუ ვინმე სხვა მწერალზე, საკითხის ამგვარად დაყენება სრულიად მიუღებლად მიმაჩნია ლიტერატურის კრიტიკაში. ჩვენ ხომ მხატვრული სახე გვაქვს მხედველობაში, ფილოსოფიური და ესთეტიური პრინციპებით კონსტრუირებული მხატვრული მოდელი და არა ვთქვათ, მეზობლის ბიჭი, ვინმე კარგი და პატიოსანი ახალგაზრდა, რომელიც ასეთ დასაგმობ საქციელს არ ჩაიდენდა. მსგავსი რამ შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის მორალისტ კრიტიკოსთა ოპუსებში, მაგალითად, ბელინსკის სტატიებში წავიკითხოთ, სწორი იყო თუ არა მოხუც გენერალს მითხოვებული ტატიანა ლარინა, რომ ონეგინის სიყვარული და მასთან ადიულტერი უარყო. თქვენს მიერ ლიტერატურასა და რეალობას შორის არსებული მიჯნების ამგვარ იგნორირებაზე წინა წერილშიც გიპასუხეთ და რახან იგივეს მიმეორებთ, ჩემთვის ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ მე და თქვენ, ჯობია, ლიტერატურაზე არ ვისაუბროთ. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, არა?

ახლა უბრალოდ, „ლირიკული ინტერმეცოს“ სახით ავიღოთ ოიდიპოსის მითი „გველის პერანგთან“ ყოველგვარი კავშირის გარეშე და ნება მომეცით, ჩემი სათქმელი კითხვა-პასუხის სახით აგიხსნათ, რას აკეთებდა ოიდიპოსი იმ გზაზე, სადაც მამამისს გადაეყარა და სიცოცხლეს გამოასალმა? გარბოდა. სად გარბოდა? სახლიდან რაც შეიძლება შორს. რატომ, მერე, რატომ გარბოდა? იმიტომ, რომ ეშინოდა, ჩემდაუნებურად მამაჩემი არ შემომაკვდესო. როგორ, იცოდა, რომ მამას მოკლავდა? თქვენ წარმოიდგინეთ, იცოდა. წინასწარმეტყველმა უთხრა, ერთ მშვენიერ დღეს მამაშენს სიცოცხლეს გამოასალმებო. მაშ, თუ იცოდა, რატომღა მიასიკვდილა ის საწყალი მოხუცი? იმიტომ, რომ მამად მისი გამზრდელი მწყემსი მიაჩნდა და სახლიდანაც ამ საშინელი ცოდვის ასაცილებლად გარბოდა.

ახლა, ბატონო თენგიზ, თქვენც მიპასუხეთ პირდაპირ და გულწრფელად, შეიძლება თუ არა პერსონაჟი, რომელიც სახლიდან თავქუდმოცემული გარბის, მამაჩემს რამე არ ვავნოო, მამისმკვლელი გახდეს?

არა, ნუ მიპასუხებთ. ეს მხოლოდ თქვენს მოდელზე აგებული რიტორიკული კითხვაა და პასუხს არ საჭიროებს. გარდა ამისა, პასუხი იმიტომაც არ მაინტერესებს, რომ არც ასეთ კითხვასა და არც მის პასუხს ლიტერატურასთან არავითარი საქმე არა აქვს.

ამასთან დაკავშირებით შევეხები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე კამათში კიდევ ერთ ჩემთვის სრულიად მიუღებელ მოთხოვნას, რომელსაც თქვენ ძალზე მაღალფარდოვნული რიტორიკული შეკითხვის სახით მიყენებთ. ამ შეკითხვის არსი არის ის, რომ მე უნდა ვაღიარო სხვა ევროპელ მწერლებთან შედარებით რობაქიძის „უპირატესობა“. თქვენ მთხოვთ მიგითითოთ, არის თუ არა ამ საუკუნის ევროპული მწერლობის ისეთი თვალსაჩინო ნიმუში, სადაც იდეალი „გველის პერანგივით“ უნივერსალური სახით და სწორუპოვარი მხატვრული ფორმით იყოს ხორცშესხმული“.

ბატონო თენგიზ, მე მწერლებსა და პოეტებს ნიშნებს არ ვუწერ და რანგების მიხედვით არ ვახარისხებ. ყოველი გენიალური ქმნილება ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩემთვის აბსოლუტურ ფასეულობას წარმოადგენს. ერთში ერთი იდეალია განსახიერებული, მეორეში მეორე და ასე შემდეგ. რობაქიძე პირადად ჩემთვის არც ბევრ სხვა თანამედროვე ევროპელ მწერალზე დიდია და არც მათზე ნაკლები. ხოლო თუ იგი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა, ეს იმიტომ, რომ ქართველია. ეს არის და ეს. იმ ლექსიკას კი, როგორიცაა „უპირატესობა“, „სწორუპოვარი“, „თვალსაჩინო ნიმუში“, ისეთი სოცრეალიზმის სუნი სდის, რომ საერთოდ ვერ მოვიხმობ. რაც მთავარია, აქაც მინდა დავამატო, რომ ვერ ვხედავ, რა სარგებლობა მოაქვს ლიტერატურული კამათისათვის ისეთ რიტორიკულ შეკითხვებს, რომლებიც საკუთარ პასუხსაც შეიცავენ და ამიტომ ფაქტიურად გამორიცხავენ სხვაგვარ აზრს.

ახლა ორიოდე სიტყვა ჩემს მიერ „გველის პერანგის“ „მცდარი“ ინტერპრეტაციის შესახებ. თქვენ, რასაკვირველია, იცნობთ მიხეილ ბახტინის თეორიას ლიტერატურაში ტექსტის, დიალოგისა და პოლიფონიურობის შესახებ. ნება მომეცით, გაგახსენოთ მისი დებულება, რომ ტექსტი (როგორც მნიშვნელობა) **მოცემული** კი არ არის, არამედ **მინიშნებულია**. ტექსტის აღქმა (ლიტერატურაში თუ ხელოვნებაში) არის ერთგვარი დიალოგი, ურთიერთქმედება ტექსტისა და მკითხველისა. ამ დიალოგის პროცესში ხდება მინიშნებული მხატვრული კოდის რეალიზაცია, მისი შესაძლებლობების ერთ-ერთი ვარიანტის კონკრეტიზაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ტექსტის სხვადასხვანაირი გაგება, მისი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია, მის მიმართ სხვადასხვანაირი მიდგომა შეიძლება მიუხედავად მისი ინვარიანტული კოდისა. ჰოდა, თუ ასეა, რატომ არ შეიძლება არსებობდეს ერთი და იმავე რომანის სხვადასხვანაირი გაგება. ეგებ უარყოფას თანამედროვეობისათვის უფრო შესაფერისი ფორმა — დიალოგი სჯობდეს? ეგებ გავიღვიძოთ და დავინახოთ, რომ მეოცე საუკუნეა და უკვე „დეპოში ვართ“?.

თქვენს პირველ წერილს, მიუხედავად იმისა, რომ იქაც მთლიანად უარყოფდით რომანის ჩემებურ ინტერპრეტაციას, მე სიხარულით ვუპასუხე, ეს ნაწილობრივ იმიტომაც გავაკეთე, რომ თქვენმა გამოხმაურებამ საბაბი მომცა გამეშალა ზოგი ჩემი ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ძალზე ელიფსური იყო, ვინაიდან მთელი სტატია თბილისის უნივერსიტეტში გაკეთებული თხუთმეტწუთიანი მოხსენების რეგლამენტით იყო შეზღუდული. ამიტომ, თუ შეამჩნიეთ, ჩემი მეორე წერილი შორს სცილდება ჩემი მისამართით გამოთქმულ თქვენს პირველ კრიტიკულ შენიშვნებს. მე კი შემიძლია ვთქვა, ბატონო თენგიზ, რომ თქვენი ორივე პუბლიკაცია ჩემს სტატიებზეა აღმოცენებული და დაფუძნებული. როგორც პირველ, ისევე მეორე წერილში მოტანილი თქვენი არგუმენტების უმეტესი ნაწილი ჩემს არგუმენტებს უპირისპირდება, მათი უარყოფისათვისაა მოყვანილი და ამიტომ, კორელაციის პრინციპის თანახმად, მათივე შექმნილია. ქრონოლოგია რომ ქრონოლოგიაა, ისიც კი მაშინ გაიხსენეთ, როდესაც მე შევეხე რომანის ამ მხარეს. დამერწმუნეთ, არ გამიჭირდება, ავიღო თქვენი მეორე წერილი და აბზაც-აბზაც უარვყო ყოველი თქვენი არგუმენტი. მაგრამ, როგორც გითხარით, კამათის ასეთი ფორმა არ მაინტერესებს. სხვისი არგუმენტებით გაპირობებული სტატიის წერა ჩემთვის უაღრესად მოსაწყენია, ხოლო ამ კერძო შემთხვევაში კი ამგვარი რამ წყლის ნაყვა იქნებოდა.

აქ მე მაინტერესებს ერთი ფსიქოლოგიური ფენომენი. აი, არსებობს რომანი „გველის პერანგი“, რომელიც თქვენ, შესაძლოა, ჩემზე ადრე გქონდათ წაკითხული და მისი „სწორუპოვრობაც“ სათანადოდ შეფასებული. მაგრამ, რამდენადაც მესმის, თქვენი აზრი წერილობით არ გამოგითქვამთ. ჰოდა, აი, მე დავწერე სტატია და თქვენ უეცრად გაგიჩნდათ მთელი რიგი მოსაზრებები, რომლებიც ჩემსას ეწინააღმდეგება. კარგი და პატიოსანი. აიღეთ და გამოთქვით თქვენი სხვანაირი აზრი, წამოაყენეთ თქვენი სხვაგვარი ინტერპრეტაცია. რატომ არის საჭირო, რომ ამისათვის სხვისი (ამ შემთხვევაში, ჩემი) შეხედულება მცდარად ჩათვალოთ, უარყოთ, შესაძლოა განზრახვის გარეშე, მაგრამ მაინც დაამახინჯოთ, ან ისე ახსნათ სხვისი მოსაზრებები, რაც მათ ავტორს არ ჰქონია მხედველობაში? თუ ეს ტოტალიტარული სისტემის მიერ გამომუშავებული სავალალო მეთოდია, რომ ნებისმიერი აზრი, სხვისი და განსხვავებული აზრის უარყოფაზე უნდა იყოს დაფუძნებული?

2. ახლა გადავალ მეორე საკითხზე, რაც ჩვენი კამათის საწყის საგანს, „გველის პერანგს“ კიდევ უფრო მეტად სცილდება. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო მინდოდა თავი შემეკავებინა რაიმე კომენტარისაგან რომანის ქრონოლოგიური სტრუქტურის თქვენს მიერ წამოყენებული განმარტების შესახებ, მაგრამ სულ ორიოდე სიტყვა მაინც მინდა ვთქვა ამაზე, რადგან თქვენი ჩემს მიმართ გამოთქმული ბრალდება ძალიან გავს იმ ანდაზას — „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“.

თქვენ მეუბნებით, „გველის პერანგი“ დოკუმენტურ-ქრონიკალური ჟანრის ნაწარმოები არ არისო და შემდეგ იწყებთ თითქმის თითეზე გამოთვლას, როდის ჩავიდა არჩიბალდი „საირმეში“, როდის შეირთო მატასი და როდის უნდა შესძენოდათ მათ ბავშვი, თითქოს ეს ვინმე რეალური მაყაშვილის კარგად ცნობილი ბიოგრაფია იყოს. შემდეგ კი ზუსტად ასახელებთ ეპილოგის დროს: „პირდაპირ ვიტყვი: შეუძლებელია, ეპილოგის დრო 1921 წლის იანვარს სცილდებოდეს“. ესე იგი იანვრის ყინვაში თუ თოვლ-ჭყაპში მოხუცი ბაბუა და ორი წლის ბავშვი (მისი წლოვანებაც ზუსტად გაქვთ გამოთვლილი) ნიგვზის ქვეშ ზიან, ერთი არხეინად ჩიბუხს აბოლებს, მეორე კი მოხუცის წვერს ეთამაშება. თანაც ბაბუა ამ სიცივეში ორი წლის ბავშვს აქეთ-იქეთ არბენინებს აბედის მოსატანად. ვყოფილვარ მთიან რაიონში ზამთრის თვეებში და ბავშვს კი არა, პირდაპირ ძაღლს არ გავაგდებდი გარეთ. თანაც სადმე, ერთი სიტყვით მაინც თოვლს ან სიცივეს არ ახსენებდა რობაქიძე? მესმის, რომ ასეთი განმარტება იმისთვის გჭირდებათ, რომ რომანის ოპტიმისტური ფინალი უფრო საფუძვლიანი ჩანდეს. თქვენ გსურთ, რომ სიუჟეტური ხაზი იმ წლის 25 თებერვლის ამბებზე ადრე დასრულდეს, რათა არჩილის ბედნიერება უღრუბლო დარჩეს. ასე რომ ყოფილიყო, სწორედ ამისთვის დააქორწინეთ არჩილი და მატასი ისეთი სიჩქარით და ბავშვის გაჩენაშიც დრო არ დააკარგვინეთ. მარტში-აპრილში შეუღლდნენ და იმავე წლის მიწურულში ვაჟი შეეძინათ. მე რომანში დროის უფრო დიდი ამპლიტუდის შესაძლებლობა დავინახე და მისი ფინალი სადმე 1921 წელსა (უსათუოდ თებერვლის შემდეგ) და 1925 წელს შორის მოვათავსე, ვინაიდან მისი ეპილოგის არც ერთი დეტალი არ მიმითითებს მაინცდამაინც 1921 წელზე და არც იანვრის თვეზე. ჩემთვის სიმბოლისტური რომანის დრო გაცილებით უფრო რთულია.

გეთანხმებით, რომ არჩიბალდის თბილისში ჩამოსვლა ადრე გაზაფხული უნდა იყოს რეალურ-ისტორიული დროის დონეზე. სიმბოლისტური თვალსაზრისით კი ეს 1918 წლის მაისსაც მოიცავს და 1921 წლის თებერვალსაც, ვინაიდან ეს არის რიტუალურ-კარნავალური დრო. რომანის ამ მონაკვეთის ყოველი თავი რაიმე მასკარადთან, თეატრალურ წარმოდგენასთან, ისტორიის პოეტურ სახესთან („ქართლის ცხოვრება“, ლეგენდა თბილისზე) არის დაკავშირებული, ესე იგი რაიმე რიტუალურ ქმედებას მიუნიშნებს. მითში, რიტუალში, კარნავალში დრო რას ნიშნავს, ამაზე იმდენი თეორიული შრომაა დაწერილი, რომ ვერ დავუშვებ ერთი მაინც არ წაგვეკითხოთ, განსაკუთრებით ბახტინის გამოკვლევა ფრანსუა რაბლეს შესახებ.

იმ თავში, რომელსაც ეწოდება „ქუბო მეუში“, თქვენი თვალსაზრისით „მძაფრად იგრძნობა თავისუფლების სული, ეროვნული ფესვების აღვივება, ისტორიული წარსულის გზნება“ და ასე შემდეგ. ასეთი მძაფრი გროტესკითა და სარკაზმით გამსჭვალულმა ეპიზოდმა, თვითონ სიტყვა „ქუბომ“ და ამ თავის ეპიგრაფმა, სადაც სიკვდილია ნახსენები, თუ ეს გაგრძნობინათ, ქედს ვიდრეკ თქვენი შეურყეველი ოპტიმიზმის წინაშე! რაც შეეხება ჩემს აზრს, აქაც და სხვაგანაც რობაქიძეს გამოხატული აქვს სიკვდილისა და სიცოცხლის, მოსპობისა და აღორძინების, დანაშაულისა და მისი გამოსყიდვის ერთიანობა. ამშია მითისა და რიტუალის არსი. არ წამიკითხავს ქალბატონი მანანა ხომერიკის სტატია, რომელზედაც მიმითითებთ, მაგრამ თუ იქ დიონისურ მისტერიაზე ლაპარაკობს, დარწმუნებული ვარ, იქაც ასე იქნება განმარტებული.

ახლა შევეხები ერთ ძალზე მნიშვნელოვან თარიღს, რომლის არასწორად გაგებას მისაყვედურებთ. ეს ეხება 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში მომხდარ ამბოხებას.

თქვენ აღშფოთებული ხართ იმით, რომ მე აქ სამოქალაქო ომი, ანუ ძმათა ბრძოლა დავინახე და ამბობთ: „ნუთუ მტკიცება სჭირდება იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ 1924 წელს ქართველი ერის მოწინავე ნაწილი აღდგა გარედან ძალად თავსმოხვეული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, აღდგა სამშობლოსათვის წართმეული თავისუფლების დასაბრუნებლად, სისხლი გაიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად?“.

პირველ ყოვლისა, მე ვთვლი, რომ რომანის ბოლოში ორივე თარიღი შეიძლება ვიგულისხმოთ, 1924 წელიცა და 1921 წელიც. ამასთანავე, დიახ, ამ თარიღებთან დაკავშირებული ამბები ძმათა შუღლის ქართულ ნაირსახეობად მიმაჩნია. ხოლო ჩემი პასუხი თქვენს კითხვაზე უკვე რობაქიძეს კი აღარ შეეხება, არამედ იმ „ქართულ ფენომენს“, რასაც თქვენი სტატიის დასასრულს ახსენებთ, როგორც შეუდარებელსა და თავისთავადს და რომლის ორიგინალობის „უფრო მეტი გაბედულებით აღიარებისკენ“ მომიწოდებთ. ბატონო თენგიზ, მე იმ ქართველებს ვეკუთვნი, რომლებიც ამ ფენომენის ბრწყინვალე და საამაყო მხარესაც ხედავენ და მის სამარცხვინო თვისებებზეც არ ხუჭავენ თვალებს. ასეთი მიდგომა უფრო ძნელიცაა, მაგრამ უფრო სასარგებლოც მგონია ჩვენთვისა და ჩვენი ქვეყნის მომავლისთვისაც.

სანამ 1924 წელზე ვიტყოდე რამეს, ცოტა უკან დავიხევ და გავიმეორებ ერთ ფაქტს, რომელიც ჩემს პირველ სტატიაში მოვიხსენიე, ვინაიდან, ჩემის აზრით, მან დიდი როლი ითამაშა ქართულ ლიტერატურაში მამისმკვლელობის მოტივის გაჩენისათვის. რობაქიძე ერთადერთი არ იყო, რომელმაც ეს მოტივი გამოიყენა. ხომ წაკითხული გაქვთ კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ პირველი გამოცემა? ან გიორგი გაჩეჩილაძის სტატია „მამისმკვლელის“ მეტაფორა“ („სულიერი გამოცდილების სამყაროში“, 1986)?

ალბათ მიხვდით, რა ფაქტი მაქვს მხედველობაში, არა? ილიას მკვლელობა, რასაკვირველია. წიწამურის ტრაგედიის მომდევნო წელს რობაქიძემ წაიკითხა მოხსენება და უფრო გვიან გამოაქვეყნა სტატიაც, სადაც ეს ბოროტება „ერის ზნეობრივი გახრწნილების“ ნიშნად გამოაცხადა, იმ ერისა, რომელსაც უამრავი აღფრთოვანებით და ტრფიალით სავსე სტრიქონი უძღვნა. ეს იმიტომ, რომ „თავისთავადი ქართული ფენომენის“ ორივე მხარე ესმოდა. თქვენც ხომ გახსოვთ მკვლელთა გვარებიც: ბერბიჭაშვილი, ფშავლიშვილი, ინაშვილი და „ვინმე იმერელი“, რომლის შესაძლებელი ვინაობა ყველამ ვიცით. როგორ ფიქრობთ, ესენი ქართველები არ იყვნენ და „ქართულ ფენომენთან“ კავშირი არ ჰქონდათ?

ბატონმა ნოე ჟორდანიამ, გახსოვთ, რა ბრძანა ამ მკვლელობის შესახებ და თანაც რუსულად? ტყეს რომ სჭრიან, ნაფოტები სცვივაო. მსოფლიოს „ხალხთა ბელადმა“ და „ქორ-შევარდენმა მთისამა“ ეს სიტყვები უკვე მოგვიანებით გაიმეორა. ბატონი ნოეს ყოფილი თანამოძმე, ფილიპე მახარაძე ილიას მკვლელის ერთგული დამცველი იყო, კარგი პენსიაც დაუნიშნა და სიკვდილამდე მისი მფარველიც ყოფილა.

ახლა კიდევ სხვა რამდენიმე „საყოველთაოდ ცნობილ ფაქტსაც“ გაგახსენებთ. ვინ შეუწყო ხელი იმ „გარედან ძალად თავსმოხვეული პოლიტიკური რეჟიმის“ შემოტანას, რომლის წინააღმდეგ „ქართველი ერის მოწინავე ნაწილი აღდგა?“ ვინ იყო, ლენინს რომ არწმუნებდა და აჩქარებდა მთელი კავკასიის და, რასაკვირველია, საქართველოს ანექსია უნდა მოვახდინოთო? „მთის არწივი“, იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი, სტალინად წოდებული. ამ საქმეში ჯერ კიდევ რევოლუციამდე ბატონ ნოესა და მისი მოძმეების მოღვაწეობამაც ძალიან შეუწყო ხელი. მერე უკვე 1921 წლის თებერვალში ვინ მოუძღოდა წინ ამ „გარედან“ მოწოლილ ძალას? მეორე „მთის არწივი“, სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც სიხარულით მხარს უჭერდნენ ძმადნაფიცები — ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა და ბევრი სხვა ტალიკ-ტალიკი ქართველი „ვაჟკაცი“. როდესაც ისინი ლენინს დეპეშით გამარჯვებას ულოცავდნენ, სად იყო ამ დროს პატივცემული ნოე თანამებრძოლებითურთ? ბათუმში ბრძანდებოდნენ და ევროპაში გასაქცევად გემზე თავიანთ ბარგს მზრუნველობით ტვირთავდნენ. მათ შორის ქინაქინას და ლობიოსო, წამიკითხავს (ლევან სანიკიძე — „მესამე დასის“ საქართველო“, 1989).

დამერწმუნეთ, არც ის დამვიწყებია. როგორ და რა პირობებში გაანთავისუფლა ქართველმა ჯარმა გენერალი მაზნიაშვილის სარდლობით ბათუმი ოსმალებისაგან. არც ის, რომ ასობით ქართველი ჭაბუკი, ჩემს წარმოდგენაში ყველა ლამაზი, ნიჭით დაჯილდოვებული და სიცოცხლით სავსე, თბილისის მისადგომებთან დაიხოცა მტერთან სრულიად უიმედო და განწირულ ბრძოლაში. მაგრამ ეს „ქართული ფენომენის“ ის მხარეა, რომელზეც ხმამაღლა, ხშირად და შთაგონებით გვიყვარს ლაპარაკი. მე ამჯერად მისი მოპირდაპირე მხარე მაინტერესებს.

როდესაც 1924 წელს „ქართველი ერის მოწინავე ნაწილი აღდგა“, ის მეორე ნაწილი, ან უფრო სწორედ მისი „პროლეტარული ავანგარდი“, რომელიც არ აღსდგა, რას აკეთებდა? რას და იმ პირველსა და „მოწინავე ნაწილს“ აპატიმრებდა, ვაგონებში ცხვრებივით ტენიდა და ტყვიამფრქვევებით ხვრეტავდა. მერე, კიდევ უფრო მოგვიანებით „აბა დელი-დელია, ჩქიმ ლავრენტი ბერიამაც“ არ დააყენა კარგი დღე თავის თანამემამულეებს. იმედი მაქვს, არ მეტყვით, მეგრელი „ქართულ ფენომენს“ არ ეკუთვნისო. ამას პირად შეურაცხყოფად მივიღებ.

ბატონო თენგიზ, მარტო თქვენ არა ხართ ისეთი ქართველი, რომლებსაც მხოლოდ გმირული და კეთილშობილი უნდა გაიხსენოს. ბევრნი არიან, ვინც გამუდმებით დავით აღმაშენებლის, თამარის, შოთას, საბას და სხვათა სახელებს ფარივით იშველიებენ, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავექცევით და დავემალებით. საბედნიეროდ, ისეთებიც არიან, რომლებიც ამჯობინებენ დემაგოგიური სენტენციებით თავი არ მოიტყუონ და კარგის გვერდით ცუდიც დაინახონ. აი, ახლახან, ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა დაწერა თავის სტატიაში ვინ ნახა საქართველო უკაცრიელი („ლიტერატურული საქართველო“, 29 მარტი). ვეთანხმები ბატონ ჯანსუღს. რობაქიძის „ჩაკლული სულის“ გმირი, თამაზიც ხომ საკუთარ თავისუფლებას მეგობრის გაწირვითა და გაცემით ყიდულობს. ასე რომ მას ღმერთი თამმუზის გარდა იუდასთანაც აქვს ახლო ნათესაობა. ან ეგებ წაკითხული გაქვთ ქალბატონი ანა ჭავჭავაძის შესანიშნავი სტატია „ასეა ევროპაში?“ („ლიტერატურული საქართველო“, 11 მარტი), სადაც ხაზს უსვამს იმას, რომ ქართული საზოგადოების ყველა ფენას უძლვის ცოდვა მოძმეთა მიმართ.

განა დღესაც, ყოველთვის მტერთან ბრძოლაში „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად“ ვღვრით სისხლს?

დაგეთანხმებით იმაში, რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე თუ მიდგა საქმე, ქართველის გული უკეთილშობილესი რისხვით ივსება და მას უმაგალითო მამაცობის და თავდადების უნარი შესწევს. მაგრამ მოყვასის და თანამემამულის მიმართ რაღას გრძნობს და ამჟღავნებს ქართველი? რასა და ისეთი ბოროტებით სავსე ბოლმას, ისეთ ღვარძლსა და გესლს, რომ მიმქრალია მაგასთან უსაშინელესი კობრის შხამი. ქართული გაზეთის გადაშლა ცუდს ხასიათზე მაყენებს, რადგან თითქმის ყოველ ნომერში ერთი ღირსეული და ნიჭიერი ქართველი მეორე ღირსეულ და ნიჭიერ ქართველს სიბინძურეში სვრის, ლანძღავს, აბეზღებს, თითს უშვერს, შენ ესა და ეს გაქვს ნათქვამი და გაკეთებული, ესა და ის ხარო.

მაგალითად, მე წამიკითხავს, და მომისმენია ერთი ცნობილი ქართველი... ვთქვათ, პიროვნების მგზნებარე პატრიოტული სიტყვები, რომლითაც იგი დღეს კომუნისტურ პარტიას შეურიგებლად და, დარწმუნებული ვარ, სრულიად გულწრფელად ასამარებს. უკვე 1989 წლის აპრილის ტრაგედიის შემდეგ იგი რამოდენიმე თანამემამულესთან ერთად ამერიკაში ჩამოვიდა და ესტუმრა აქაურ საზოგადოებრიობასაც, სადაც მას და მასთან მყოფთ დაუსვეს კითხვა, შესძლებს თუ არა კომუნისტური პარტია ასეთი ანტიჰუმანური აქციის მერე ისევ აღსდგეს და იბატონოსო. პასუხის გაცემა მხოლოდ იმ ქართველმა პიროვნებამ გაბედა და საკმაოდ ოპტიმისტური იდეა გამოთქვა ამ „გარედან თავსმოხვეული პოლიტიკის“ მორალური პოტენციალის შესახებ. მან განაცხადა, რომ მისი აზრით პარტია ნამდვილად შესძლებს ჩამოირეცხოს ეს სამარცხვინო ლაქა და პირვანდელი ძალით აღსდგესო.

ამ პიროვნების ვინაობას არ დავასახელებ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაბეზღების პრინციპული წინააღმდეგი ვარ. მეორე იმიტომ, რომ მესმის, რა ალაპარაკებდა — ათეული წლების განმავლობაში ჩაგონებული და ინსტინქტად ქცეული შიში, რომლის გამო ბევრი ჯერაც ვერ მიეჩვია ნორმალურად ლაპარაკს და საუბრის ან ცივილიზებული კამათის მაგივრად სულ ილანძღება, ეგებ სწორედ იმ იმედით, ჩემს წინანდელ ცოდვებს არავინ გაიხსენებსო. ამ პიროვნებას კიდევ იმიტომ არ დავასახელებ, რომ დარწმუნებული არა ვარ, მე მის ადგილას, რას ვუპასუხებდი. შესაძლოა, იმავეს ვიტყოდი, რაც მან სთქვა. ჩემი თავი ბევრით სხვაზე უარესი არ მგონია, მაგრამ უკეთესიც რომ არა ვარ, ისიც ვიცი. გარდა ამისა, არის ერთ კარგ წიგნში ერთი კარგი კაცის თქმული კარგი სიტყვები: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“.

ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ჩამოვედი საქართველოში და მრავალ სასიქადულო თვისებების გარდა „ქართული ფენომენის“ ერთმა იდეოსინკრეტულმა მხარემ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ჩემი დაკვირვებით ერთი ქართველი მეორე ქართველს უშურველად აქებს და ხოტბას ასხამს უმთავრესად ერთ სიტუაციაში — სუფრასთან ღვინით სავსე ჭიქით ხელში. აი, სადა სჩანს ქართველობის ჭეშმარიტად არტისტული ბუნება! ისეთი მღელვარე ემოციებით ვივსებით, ისეთ კეთილშობილ სიტყვებს ვამბობთ, რომ საკუთარი მჭერმეტყველება მოგვგვრის ხოლმე თვალზე ცრემლებს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ნუთუ მოყვასის მიმართ ჩვენი ხასიათისთვის ჩვეული სიკეთე და გულუხვობა ქეიფ-ნაწლავის აქტივაციის შედეგად უნდა აღვიძებდეს? არ შეიძლება, ერთმანეთს მოვუსმინოთ, ერთმანეთის აზრს პატივი ვცეთ, ერთმანეთზე ზოგჯერ მაინც კარგი ვსთქვათ და ისეთი განსაცდელის დროს, როგორც ახლაა, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ?

ეტყობა შეგვიძლია, რადგან 31 მარტს ამომრჩეველთა 98 პროცენტზე მეტმა საქართველოს დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. მაგრამ სანამ ამ დამოუკიდებლობის და თავისუფლების რეალიზაცია მოხდებოდეს, გრძელი და მძიმე გზაა გასავლელი. ამ გზაზე ურთიერთმხარდაჭერა, მიმტევებლობა და სულგრძელობა ძალზე დაგვეხმარებოდა მიზნის მიღწევაში.

რაც შეეხება „გველის პერანგს“, ბატონო თენგიზ, მე ჩემი ვთქვი თქვენ თქვენი. მოდით, მკითხველს მივანდოთ არჩევანის გაკეთება. ბევრი, ალბათ, თქვენს უფრო ოპტიმისტურ ინტერპრეტაციას დაუჭერს მხარს, ზოგს, ვიმედოვნებ, ჩემი ტრაგიკულ-რიტუალური განმარტება დაუჯდება ჭკუაში, ზოგი კი სულ რაღაც ახალს და თავისებურს იტყვის. ამით ქართული ლიტერატურული კრიტიკის კულტურას, შესაძლოა, პატარა რამ სარგებელი შეემატოს, ხოლო თვით რომანის მხატვრული თუ კულტურული ღირსება, როგორიც იყო, ისეთივე დარჩება.

**დოდონა კიზირია,**
**აშშ.**

## სპორტი

### უხვგოლიანი ტური

**მეთოთხმეტე** ტური რესპუბლიკის ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა. მასპინძლებმა ოცდაათჯერ შეძლეს სტუმართა კარის აღება, სტუმრებმა კი მხოლოდ ექვსჯერ გაიტანეს გოლი. აღსანიშნავია, რომ ცხრა მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა, მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა.

კვლავ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა შარშანდელმა ჩემპიონმა თბილისის „იბერიამ“, ამჯერად მან საკუთარ მინდორზე წყალტუბოს „სამგურალს“ სძლია — 4:0. ბურთები გაიტანეს გ. ჯიშკარიანმა, კ. კაჭარავამ, შ. არველაძემ და მ. ყაველიშვილმა. აღსანიშნავია, რომ კ. ცხადაძე, რომელიც „იბერიის“ კაპიტანი გახლდათ, ამ მატჩის შემდეგ შვეციას გაემგზავრა, მან სუნსვალდის კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ასევე ოთხი მშრალი ბურთი გაიტანა რუსთავის „გორდამ“. მათი მეტოქე ამ დღეს სამტრედიის „სანავარდო“ იყო. გამარჯვებულთაგან შარშანდელი ჩემპიონატის ბომბარდირის მ. ფანცულაიას გამორჩევა გვინდა, რომელმაც ორჯერ აიღო „სანავარდოს“ კარი, თითო გოლის ავტორები არიან ა. კილასონია და ტ. კაპანაძე.

წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში პირველად გაიტანა მეტოქის კარში ხუთი ბურთი 1990 წლის საქართველოს თასის მფლობელმა ლანჩხუთის „გურიამ“. მან ანგარიშით 5:3 დაამარცხა გალის „მზიური“. ორ-ორი ბურთი გაიტანეს ლანჩხუთელთაგან მ. მეგრელაძემ და ო. კორღალიძემ, ერთიც დ. უგრელიძემ; გალელთა მხრივ საპასუხო გოლები მ. მორგოშიას ანგარიშზეა.

მეტად საჭირო გასვლითი მატჩი მოიგო თბილისის „შევარდენ-1906“-მა, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში ვანში სძლია „სულორს“ — 3:2. გოლები: ზ. ბაკურაძე — 2, მ. მინაშვილი („შევარდენი-1906“), დ. ორმოცაძე, დ. პაიკიძე („სულორი“).

ქუთაისში მასპინძელთა უპირატესობით დამთავრდა შეხვედრა — მათ ხობის „კოლხეთს“ უმასპინძლეს და მოუგეს კიდეც. ბურთები გაიტანეს: თ. ფაიფიძემ, მ. ხუნდაძემ („ქუთაისი“), ზ. ბაკურაძემ („კოლხეთი“).

5:1 ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა სოხუმის „ცხუმმა“ ზუგდიდის „ოდიშთან“. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „ცხუმმა“ უკვე პირველ ტაიმში ოთხი მშრალი ბურთი გაიტანა და მატჩის ხსნის ყოველგვარი იმედი გადაუწურა სტუმრებს.

მეორე ნახევარში მეტოქეებმა თითო-თითო გოლიღა გაიტანეს, საბოლოოდ კი — 5:1 ასე გაიმარჯვა „ცხუმმა“. გოლები: ი. გაბისკირია — 2, გ. გოგრიჭიანი — 2, მ. ჯიშკარიანი („ცხუმი“), მ. ბიგვავა („ოდიში“). ტურის სხვა მატჩებში: გურჯაანის „ალაზანი“ — ოჩამჩირის „ამირანი“ — 1:0; ზესტაფონის „მარგვეთი“ — ხაშურის „ივერია“ — 4:1, ფოთის „კოლხეთი-1913“ — გორის „დილა“ — 2:0, „ბათუმი“ — ოზურგეთის „მერცხალი“ — 1:0. ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ტური 3 ივნისს გაიმართება.

## სინანული

**გუშინ**, ღამით უბედურმა შემთხვევამ შეიწირა კიდევ ერთი ახალგაზრდა — იმედის მომცემი ინჟინერი, მოსიყვარულე შვილი, გულისხმიერი მეუღლე და მამა — ლევან თოფაძე.

დავკარგეთ ლამაზი სიცოცხლე, რომელიც ესოდენ სჭირდებოდა საქართველოს, მის ხვალინდელ დღეს.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, შ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
X1
ინდექსი 66484

საქართველოს რესპუბლიკა